# ლელო

№200 (12 270)

25 აგვისტო შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა



განახლებული სპორტის სასახლე მზადაა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ფრთხილად, ნაკრების კარი იკეტება!

## ვინც შანსი ვერ გამოიყენა, საკუთარ თავს დააბრალოს! ახალწვეულებს უახლოეს მატჩებში ვიხილავთ. ტოპმიოლერი შემადგენლობას მომავალ კვირაში დაასახელებს

დავით ცაბაძე

გუშინ, ლუქსემბურგიდან დაბრუნების შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ პრესკონფერენცია გამართეს.

ნოდარ ახალკაცი

– ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზეზი საქართველოს ნაკრებია. სექტემბერში არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი გველის. შედეგი, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა ლუქსემბურგში აჩვენა, გულშემატკივრისთვის დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება. ბუნებრივია, ფედერაციაც არაა კმაყოფილი და ფეხბურთელებიც მით უფრო.

ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ იმ სპორტსმენებმა უნდა იასპარეზონ, რომლებიც მობილიზებულნი იქნებიან და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯებიან. ის მოთამაშეები, ვინც საქმეს ზერელედ და აგდებულად მოეკიდებიან, ნაკრებში არ უნდა იყვნენ. ასეთ მოთამაშეებს ჩვენ არ მივცემთ გულშემატკივრის განბილების უფლებას...

მთავარი ერთი რამაა – საქმისადმი მიდგომა უნდა შეიცვალოს. თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში ის თავის ქვეყანას წარმოადგენს.

2



ნოდარ ახალკაცი გუშინდელ პრესკონფერენციაზე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

დღეს, 19:00. საქართველო-ავსტრია

# ზაზა ფაჩულია: მოდით, მხარდაჭერა გვჭირდება!

ვაჟა სიმონიშვილი

შარშან B დივიზიონის მატჩები საქართველოს ნაკრებმა ლუქსემბურგთან გახსნა. ის თითქოს იოლი და მშვიდი შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველას კარგად ახსოვს, რომ მატჩის ბოლოს ზაზა ფაჩულიამ და ლუქსემბურგელმა ელვინ ჯონსმა იჩხუბეს და ორივე სასწაულად გადაურჩა მომდევნო მატჩებში დისკვალიფიკაციას. ზაზა და ელვინი ერთმანეთს 4 დღის წინათაც შეხვდნენ. ალბათ, გაინტერესებთ, როგორ ჩაიარა მათმა დაპირისპირებამ და საერთოდ, რას ფიქრობს საქართველოს ნაკრების ატლანტელი ლიდერი გუნდის შანსებზე...

9



მერანი-სპარტაკი. 0:1

## საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

| გუშინ | |
|---|---|
| ლოკომოტივი-მესხეთი | 2:3 |
| მერანი-სპარტაკი | 0:1 |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| სიონი-ბათუმი | 1:0 |

დღეს, 17:00

ბორჯომი-დინამო

ზესტაფონი-მგლები

### ოლიმპი-ამერი

ჩემპიონი თასის მფლობელის წინააღმდეგ




# ფრთხილად, ნაკრების კარი იკეტება!

პირველი გვერდიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებისთვის მაქსიმუმს აკეთებს და ფეხბურთელებისგანაც იმავეს მოითხოვს – მათ თავიანთი საქმე მაქსიმალურად კარგად უნდა აკეთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც საქმეს ზერელედ მიუდგებიან, ნაკრების კარი ჩაიკეტება.

კლაუს ტოპმიოლერი მომავალ კვირაში დაასახელებს ნაკრების შემადგენლობას და სხვა არაერთ საინტერესო საკითხსაც შეეხება. კიდევ ერთხელ მინდა ალვნიშნო – სასურველი შედეგის ჩვენებისთვის ფეხბურთელებს მაქსიმალურად კარგი პირობები აქვთ შექმნილი და თუ ვინმე ამას ვერ ხედავს და მოედანზე ბოლომდე არ იხარჯება, მისთვის ეროვნული გუნდის კარი დაიკეტება.

როგორც ჩანს, რამდენიმე ფეხბურთელმა ვერ გაითავისა, რომ მათთვის ეროვნულ ნაკრებში მიწვევა, გუნდში დამკვიდრების შანსი იყო. თუ მათ ეს შანსი ვერ გამოიყენეს და მომავალში ნაკრებს მიღმა დარჩნენ, ეს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

ეროვნულ ნაკრებს სექტემბერში პრინციპული მატჩები ელის და შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა ეს ნაკრების მწვრთნელთა პრეროგატივაა და ეს საკითხი სწორედ მათი გადასაწყვეტია. ამაზე თავად კლაუს ტოპმიოლერი გაგესაუბრებათ მომავალ კვირაში.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დიდი შანსია რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები უფრო ხშირად გამოჩნდნენ ეროვნულ ნაკრებში, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. ამისი მიზეზი ის ლეგიონერები არიან, რომლებმაც მწვრთნელის მიერ მიცემული შანსი ვერ გამოიყენეს და სხვადასხვა მიზეზის გამო დაკისრებულ მოვალეობას ზერელედ მოეკიდნენ.

**გოგი ქავთარაძე:**

- ორ კვირაში უკრაინის ნაკრებთან ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ იცით რატომაა მნიშვნელოვანი? ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია უნდა შეძლოს, მოედანზე თავი უნდა დადოს.

კლაუს ტოპმიოლერი და მისი შტაბი მაღალ დონეზე, კეთილსინდისიერად მუშაობს. იმასაც არ დაგიმალავთ, რომ ჩვენ, ისევე როგორც კლაუს ტოპმიოლერს, თანამშრომლობის გაგრძელება გვსურს. ჩვენი სურვილია, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ჩვენმა გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშოს და რაც მთავარია, შედეგი აჩვენოს.

ლუქსემბურგთან მატჩში ჩვენს გუნდში ხარვეზები ნათლად გამოჩნდა და რაც მთავარია, გამოჩნდა, რომ რამდენიმე ფეხბურთელს ეროვნულ გუნდთან დამოკიდებულებაში დაკავშირებით, პრობლემები აქვს. ვიმედოვნებ, რომ უკრაინასთან მატჩში ბევრი რამ გამოსწორდება. მჯერა, რომ ფეხბურთელები მოედანზე თავს დადებენ, ბოლომდე დაიხარჯებიან.

ყველას თხოვნით მოგმართავთ, უკრაინასთან მატჩის წინ ერთად დავდგეთ. ეროვნულ გუნდს მხარში ამოვუდგეთ და ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი ეროვნულ ზეიმად ვაქციოთ.

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პოლონეთში ჩატარებულ მატჩს, - თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ პირადად მე, ამ გუნდის თამაშით უფრო კმაყოფილი დავრჩი, ვიდრე ეროვნული გუნდის ლუქსემბურგში ჩატარებული თამაშით. საჯაროდ შემიძლია განვაცხადო, რომ 21-წლამდელთა ნაკრებში რამდენიმე კარგი ფეხბურთელია, რომლებიც შესაძლოა მალე ეროვნულ ნაკრებშიც კი ვიხილოთ.

პრესკონფერენციაზე არ თქმულა, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, კლაუს ტოპმიოლერი **პეტარ სეგრტის** გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის მიწვევას მართლაც გეგმავს. ჩვენი ინფორმაციით, 8 და 12 სექტემბრის, უკრაინასა და აზერბაიჯანთან ამხანაგური მატჩებისთვის გამოსაძახებელთა სიაში 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელები **გიორგი ფოფხაძე, მათე ლვინიანიძე, გიორგი მერებაშვილი და სანდრო კობახიძე** იქნებიან. ტოპმიოლერი გამოიძახებს შვეიცარიული "თუნის" ფორვარდ **სანდრო იაშვილსაც**.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



### იური გავრილოვი:

# ქართველები ცბიერები არიან

## ქუთაისელებმა ფული სასტუმროში მომიტანეს



იური გავრილოვი

80-იანი წლების დასაწყისის მოსკოვის "სპარტაკის" და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **იური გავრილოვმა** ინტერვიუ მისცა უკრაინულ გამოცემა "ტერიკონს". გავრილოვი ამბობს, რომ ქუთაისში, იქაურ "ტორპედოსთან" მატჩის წინ, ქართველებმა "სპარტაკს" ქრთამი შესთავაზეს.

*"ქართველები ცბიერები არიან, კარგად იცოდნენ, თუ ვის შეეძლო თამაშის გაყიდვასთან დაკავშირებით რაიმე გადაეწყვიტა. კარგად ვთამაშობდი, სეზონში საშუალოდ ოცი გოლი გამქონდა. ფული სასტუმროს ნომერში მომიტანეს. ამის შესახებ ჩემმა მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა შეიტყო. მე არც უარვყავი ფაქტი - ფული მომიტანეს, მგრამ არ ამიღია. ქართველებს ვუთხარი, აიღეთ თქვენი კეისი და წადით, მარტო ასეთ რამეს ვერ გადავწყვეტ, თუ გუნდი ამაზე წავა, მაშინ ფული უკან მოიტანეთ-მეთქი. ასეთ სიტუაციებში ფეხბურთელები მწვრთნელის გარეშე ვთათბირობდით. თუ ვინმეს თამაშს მივცემდით, ამას ყველა, მთელი გუნდი აკეთებდა"*, - ამბობს გავრილოვი ინტერვიუში და კორესპონდენტისთვის იმის თქმაც არ ავიწყდება, რომ "ტორპედოს" მაშინ 4:0 მოუგეს.

ის მატჩი 1983 წლის 29 აგვისტოს გაიმართა...

დავით თავართქილაძე

# სეპარატისტები დარასელიას სახელობის ტურნირს ატარებენ



ვიტალი დარასელია

რუსული და უღიარებელი აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ 2-9 ოქტომბერს ოჩამჩირეში **ვიტალი დარასელიას** ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელშიც სეპარატისტული აფხაზეთის, სანკტპეტერბურგის, ნოვოროსიისკის, დნესტრისპირეთისა და ცხინვალის გუნდები ითამაშებენ.

ამ წყაროებში დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელი გუნდები ჩავლენ ოჩამჩირეში. თუ იქ რუსეთის საფეხბურთო კავშირში რეგისტრირებული გუნდები ჩავლენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ალბათ საქმე ფიფაში უნდა გაურჩიოს რუსთა საფეხბურთო კავშირს.

ოჩამჩირეში დაბადებულ **ვიტალი დარასელიას** წლეულს, 9 ოქტომბერს 50 წელი შეუსრულდებოდა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის გამტანი 1982 წლის 23 დეკემბერს დაიღუპა ავტოავარიაში.

დავით თავართქილაძე

# თეთრაძის უსიამოვნო სერია შეწყდა

რუსეთის პირველ დივიზიონში 29-ე ტურის მატჩები გაიმართა. როგორც იქნა, იმარჯვა **ომარ თეთრაძის** "ანჟიმ", დაღესტნურმა კლუბმა შინ "სალიუტ-ენერგია" დაამარცხა - 2:1 და ამით შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. **ზურაბ არზიანი** მოედანზე მატჩის 75-ე წუთზე შევიდა **სტრელცოვის** ნაცვლად. სტუმართა რიგებში სრულად ითამაშა ქართული წარმოშობის რუსმა **გიორგი მიქაძემ**. ისე, არზიანსაც აქვს მიღებული რუსეთის მოქალაქეობა, თუმცა მას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია. **გოჩა ხოჯავას** ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. "ანჟი" 39 ქულით გათამაშების ცხრილში მეათე ადგილზეა და არც გავარდნის საფრთხე ემუქრება და არც ალზევების შანსი აქვს. **პაატა ჯინჭარაძის** "დინამოს" უბრძოლველად ჩაეთვალა 3:0 მოგება, რადგან ბრიანსკელთა მეტოქე რიაზანის "სპარტაკი" დაიშალა. "დინამო" 47 ქულით მეექვსე ადგილზეა. პრემიერლიგაში ალზევების შანსი ბრიანსკელებს მიზერული აქვთ - "შინიკი" 66 ქულით ლიდერობს, მეორე ადგილზე მყოფ "ტერეკს" კი 60 ქულა აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გასხენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. III ტური.

www.pfl.ge

### ლოკომოტივი-მესხეთი 2:3

24.08. თბილისი. მ.მესხი
350 მაყურებელი

1:0 ყენია (42), 1:1 კაიდარაშვილი (60), 1:2 ჟვანია (66. თურმანიძის პასით), 1:3 კაიდარაშვილი (69. ზ. ჩხეტიანის პასით), 2:3 მიქაძე (84. ყენიას პასით)

ლოკომოტივი: გვარამაძე - დ. ფოფხაძე (75. ჟღენტი), გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი - გულორდავა (59. ბარბაქაძე), ტიკურიშვილი (64. ალავერდაშვილი), სამხარაძე, ყენია - იმედაძე, მიქაძე

სათადარიგოები: ცერცვაძე, ქუხილავა, ლალაძე, მალიჩავა

მესხეთი: სომხიშვილი - აკოფიანი, ნადირაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი - მ. თაყაძე (77. გვირჯიშვილი), ზ. ჩხეტიანი, აფრიამაშვილი (46. ჟვანია), ინასარაძე (46. მ. ღონღაძე), თურმანიძე - კაიდარაშვილი

სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ძამსაშვილი, სუდაძე, რუსია

გაფრთხილება: ლეკიშვილი (31), გულორდავა (35), ყენია (39), გვარამაძე (49), დ. ფოფხაძე (56), ალავერდაშვილი (89), ზ. ჩხეტიანი (90)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

#### სტენოგრამა

**15 წთ.** ყენიამ მიქაძის პასი მიიღო და საჯარიმოს მისადგომებიდან კარს ოდნავ ააცილა.

**34.** თაყაძის ფლანგურ გარღვევასა და ჩაწოდებას კაიდარაშვილის არაზუსტი თავური მოჰყვა

**41.** კვახაძის თავური, **სომხიშვილმა** საკუთარი კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

**42.** 1:0 - "მესხეთის" მეკარის შესანიშნავ თამაშს მისი უხეში შეცდომა მოჰყვა. ყენიას კუთხურიდან მოწოდებული ბურთი სომხიშვილის კარის ახლო კუთხეში ისე შეფრინდა, არავის შეხებია.

**47.** **გულორდავამ** სომხიშვილს მახვილი კუთხიდან ვერ აჯობა.

**49.** **თურმანიძემ ჟვანია** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, **გვარამაძემ** ეს უკანასკნელი საჯარიმოს გარეთ აკრძალული ხერხით შეაჩერა. მსაჯმა მეკარეს ყვითელი აკმარა.

**60.** 1:1 - **კაიდარაშვილმა** ანგარიში ულამაზესი მაკრატელათი გაათანაბრა.

**62.** თაყაძემ კაიდარაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ალექსანდრეს დარტყმა ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

**66.** 1:2 - თურმანიძის დაბალ ჩაწოდებას ჟვანია საჭირო ადგილზე დახვდა.

**69.** 1:3 - **ჩხეტიანმა** გვარამაძეს კაიდარაშვილი შეჰყარა.

**84.** სომხიშვილთან ერთი-ერთზე გასულმა ყენიამ მახვილ კუთხესთან გაიწავარდა და როცა რამდენიმე მეურვის გარემოცვაში აღმოჩნდა, ცარიელ კართან მდგომ მიქაძეს უპასა.

# გოლები, რომლებიც ყველას უნდა ენახა

"მიხეილ მესხზე" გამართული მატჩი ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს - შესანიშნავი! ბუნებრივია, არც "ლოკომოტივს" და არც "მესხეთს" ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ, მაგრამ ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებლისთვის სიამოვნება მიენიჭებინათ. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში აქამდე გამართული მატჩებიდან "ლოკომოტივი"-"მესხეთი" უდავოდ ყველაზე სანახაობრივი იყო.

სანახაობა კი, უპირველესად, ორმა ფეხბურთელმა განაპირობა - "მესხეთის" გამოცდილმა ფორვარდმა **ალექსანდრე კაიდარაშვილმა** და "ლოკომოტივის" ჭაბუკმა ლიდერმა და მისმა ერთადერთმა ნათელმა წერტილმა **ლევან ყენიამ**. ორივემ ბევრი იშრომა, არაერთხელ დაიმსახურა აპლოდისმენტები და რაც მთავარია, მათი წყალობით ორი ისეთი გოლი ვნახეთ, ნებისმიერი რანგის საერთაშორისო ტურნირს რომ დაამშვენებდა. კაიდარაშვილმა საკმაოდ რთული პოზიციიდან, მახვილი კუთხიდან შეძლო მაკრატელას გატანა (თუმცა დარტყმას აულებელი არ ეთქმოდა). ყენიამ კი შეხვედრის მიწურულს რამდენიმე მეურვეს აჯობა და **მიქაძეს** მეტოქის კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია.

კუთხურიდან გატანილი გოლიც ყოველთვის მოვლენაა, მაგრამ აქ უფრო მეკარე სომხიშვილისა და "მესხეთის" მცველების უყურადღებობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ყენიამ მორიგი მატჩი ჩაატარა უმაღლეს დონეზე, მაგრამ არასათამაშო ეპიზოდში მიღებული გაფრთხილება აქტივში ვერ ჩაეთვლება. როგორც გახსოვთ, იგი "ამერთანაც" "არასაჭირო" მომენტში გააძევეს. იმედია, ნიჭიერი და პერსპექტიული ნახევარმცველი დროულად დალვინდება და მსგავს შეცდომებს ასე ხშირად აღარ დაუშვებს.

ყენიას თანაგუნდელებს თავი ბევრით არაფრით გამოუჩენიათ, განსაკუთრებით დაცვა მოიკოჭლებდა. პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, მეორეში კი "მესხეთმა" მეტოქეს საგრძნობლად აჯობა. ახალციხელებს სწრაფი იერიშები კარგად გამოსდიოდათ. სტუმართა ყველა ფეხბურთელმა დაკისრებულ ამოცანას თავი ნორმალურად გაართვა, გუნდმა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე პირველ ტურში, "მგლებთან" მოგებულ შეხვედრაში. კაიდარაშვილთან ერთად, "მესხეთში" გამორჩეულები **თურმანიძე, თაყაძე, ჩხეტიანი** და შეცვლაზე შესული **ჟვანია** იყვნენ.

ორი სიტყვა მსაჯობაზეც უნდა ვთქვათ. **ლევან კვარაცხელიას** გადაწყვეტილებაზე გადაჭრით ვერაფრის მტკიცებას მოვყვებით, მაგრამ საჯარიმოს გარეთ გვარამაძის მიერ მასთან პირისპირ გასული ჟვანიას მოცელვა ძალიან ჰგავდა ბოლო იმედის ჯარიმას.

მიქაძის გოლს "ლოკომოტივის" შტურმი ვერ მოჰყვა. ამის მაგივრად, მცირე გაწევ-გამოწევა იყო, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. "მესხეთმა" დამსახურებული გამარჯვება იზეიმა, "ლოკომოტივმა" კი "ამერის" ძლევის შემდეგ, ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. რკინიგზელებიც უმაღლესში დასარჩენად მებრძოლთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, "ლოკომოტივის" სამომავლო წარმატებები კი დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, როდემდე გასტანს ლევან ყენიას ქართული კარიერა...

დაბოლოს, შენიშვნა "ლოკომოტივის" ხელმძღვანელების მიმართ: ჟურნალისტებმა გუნდების შემადგენლობები ერთადერთი ოქმიდან გადავიწერეთ და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციასაც ამაოდ ველოდით.

**რჩეული**

ალექსანდრე კაიდარაშვილი

ამ სეზონში კაიდარაშვილი უკვე მეორედ ვცანით მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად. იშვიათი სილამაზის გოლი, ჩემპიონატის პირველი დუბლი და ჩვეული ლიდერული შემართება - ეს საკმარისზე მეტიც კია ფეხბურთელის გამოსარჩევად.

**ლევან ჯანეზაშვილი**





ალექსანდრე კაიდარაშვილი

# ჟორჟიკაშვილის სუპერშეცვლები

### მერანი-სპარტაკი 0:1

24.08. თბილისი.
400 მაყურებელი

0:1 მედოევი (78 პენ.)

მერანი: სეფიაშვილი - ლოლაძე (74. კილასონია), გიგაური, ლომაშვილი, სარალიძე - ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (56. ფურთუხია), ბესარაშვილი, კ. ავალიანი - გოჩაშვილი, სევასტოპულო (61. ტყეშელაშვილი)

სათადარიგოები: თევდორაძე, წიქარიშვილი, ქემაშვილი

სპარტაკი: კოდალაევი - ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, პარამონოვი, მამუკაშვილი - ივანიშვილი (67. ჯანელიძე), თარხნიშვილი, ჩირიკაშვილი, დარბაიძე (59. გოგოხია), ძარია (74. მედოევი) - ხიდეშელი

სათადარიგოები: ქვილითაია, ტატაევი, ცქვიტაია, გოგოლაძე

გაფრთხილება: თარხნიშვილი (28), სეფიაშვილი (78), ბახტურიძე (81), ჯანელიძე (85)

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

#### სტენოგრამა

**8 წთ.** გიორგი ივანიშვილმა კუთხური ჩააწოდა, **დიმიტრი პარამონოვმა** ახლოდან ვერ დაუმიზნა "მერანის" კარს.

**11.** ირაკლი **ჩარგეიშვილის** შორეული დარტყმა **კონსტანტინე სეფიაშვილმა** გააუვნებლა.

**19.** **ვლადიმერ გოჩაშვილმა ზურაბ ავალიანს** გადააწოდა ბურთი, ვინც ახლოდან დაარტყა, მაგრამ ბურთი კარისკენ არ წავიდა - ერთ-ერთმა სპარტაკელმა მცველმა ვარდნაში დაუფარა.

**34.** **დავით სევასტოპულომ** და **ბექა ნოზაძემ** კარგად გაითამაშეს ბურთი, კომბინაცია გოჩაშვილს გოლით უნდა დაესრულებინა, მაგრამ ახლოდან თავურით ვერ დაუმიზნა კარს.

**41.** არეულობა "სპარტაკის" საჯარიმოში. **გიორგი ლოლაძემ** და გოჩაშვილმა მცველებს ვერ აჯობეს.

**60.** გოჩაშვილმა **მიხეილ ბესარაშვილს** თავით დაუგდო ბურთი, ვისი დარტყმულიც **კოდალაევმა** კუთხურზე მოიგერია.

**72.** **გიორგი ხიდეშელმა** აუტი მოაწოდა, სეფიაშვილმა ხელებში ვერ შეიმაგრა ბურთი, მისი შეცდომა კი **დავით ჯანელიძემ** ვერ გამოიყენა - თავით ააცილა კარს.

**78.** 0:1. მერანელებს კონტრშეტევა გამოეპარათ, ჯანელიძე სეფიაშვილთან პირისპირ გავიდა და პენალტი მოიპოვა, რომელიც უნაკლოდ შეასრულა **ზაზა მედოევმა**.

**90.** ნოზაძის ჩაწოდებულ ბურთს თავი **ლევან სარალიძემ** შეუშვირა, თუმც მიზანი ვერ გაასწორა.

"მერანმა" საკუთარ სტადიონზე პირველად ითამაშა, მე-18 ეროვნულ ჩემპიონატში კი ზედიზედ მესამედ წააგო. ვერ არის კარგი დასაწყისი **თამაზ კოსტავას** გუნდისთვის, რომელსაც გუშინ იღბალმაც აქცია ზურგი.

თუ სტენოგრამას გადახედავთ, იქ მერანელთა რამდენიმე საგოლე მომენტს ამოიკითხავთ. თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცხინვალის "სპარტაკი" სამ ქულას მხოლოდ ყისმათს უნდა უმადლოდეს - შიდაქართლელთა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** შეცვლები ზუსტად გამოიცნო, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მატჩის შედეგი.

ორივე გუნდი ერთობ მონდომებული ჩანდა, თანაბარი თამაში გაჩაღდა, ტაიმის ბოლოს კი "მერანი" მცირე უპირატესობას დაეუფლა, მეტოქე აიძულა მეტწილად თავდაცვაზე ეზრუნა, თუმც აქედან ვერაფერი გამოადნო.

მეორე ტაიმის პირველი ნახევარიც ასე გაილია, მოედანზე ვერც "მერანი" გაბატონდა და ვერც "სპარტაკი", მერე კი ჟორჟიკაშვილმა მინდორზე **დავით ჯანელიძე** და **ზაზა მედოევი** შეუშვა - ერთმა თერთმეტმეტრიანი მოიპოვა, მეორემ კი ის ზუსტად შეასრულა - შეიძლება ითქვას, ჟორჟიკაშვილმა სუპერშეცვლები გააკეთა.

ნამატჩევს ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, თამაში დაძაბული იმადაც იყო, "მერანს" განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდა, ჩემპიონატის ორი მატჩის შემდეგ საკუთარ მოედანზე ხომ პირველად თამაშობდაო. შეცვლებზე კი ცხინვალელთა მწვრთნელმა მოგვახსენა, დროული იყოო.

**დავით თავართქილაძე**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დილა-ვიტ ჯორჯია**

**0:1**

24.08. გორი. თ. ბურჯანაძე
500 მაყურებელი

გოლი: ლომაია (90. ლუქაშვილის პასით)

დილა: ილურიძე - ბალაშვილი, ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი - სადალაშვილი, ტლაშაძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი (72. კვიტაიშვილი) - ბ. ჩიტაია (90. შერმადინი), სამადაშვილი (83. ნოზაძე)

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, კურტანიძე, ლომიძე, ი. თაყაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, კაიშაური, ა. კვახაძე, ლომაია - ბეჭვაია (46. მელქაძე), რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი - გელაშვილი (70. ბერიაშვილი), სახოკია (64. ლუქაშვილი)

სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, მაისაშვილი, ინჯგია

გაფრთხილება: სახოკია (39), ბალაშვილი (67)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**სტენოგრამა**

**10 წთ.** **პავლე დათუნაიშვილმა** საჯარიმო კარის გასწვრივ ჩაჰკიდა ბურთი, **კაიშაურის** დარტყმა **ილურიძემ** გააუვნებელყო.

**19.** **სამადაშვილის** შეტევა მცველებმა შეაჩერეს, ბურთი მასვე დარჩა და არაზუსტად დაარტყა.

**22.** **გელაშვილი** საჯარიმოს შიგნით იღებს ბურთს, ახლოდან ურტყამს, ილურიძე იგერიებს.

**25.** **სახოკია** საჯარიმოს მისადგომებთან იღებს გელაშვილის პასს. მის წინ ერთი მცველია, მაგრამ ზაზა გვერდით იგდებს ბურთს, იქ სადაც სამი გორელი ბრუნდებოდა თანაგუნდელის დასახმარებლად.

**35.** **კლიმიაშვილის** კუთხური კარის ხაზს გასწვრივ ვერც გორელებმა მოიგერიეს და მას ვერც შორეულ ძელთან მდგარი **დავით ლომაია** ვერ შეეხო.

**60.** ლომაია ახლო მანძილიდან თავით ურტყამს, ილურიძის ნახტომი შედეგიანია. კარი გადარჩა.

**62.** **სამადაშვილის** თავური ხუთიოდ მეტრიდან ძელს ხვდება.

**69.** **მელქაძე** სახიფათოდ ურტყამს ჯარიმას, ილურიძე იგერიებს.

**72.** კლიმიაშვილის შორეული დარტყმა მცირედით სცდება კარს.

**84.** სამადაშვილის სახიფათო გარღვევა ფლანგიდან ბოლო მომენტში შეაჩერეს მცველებმა.

**90** (+1). 0:1 - სტუმართა საბოლოო შტურმი, **ლუქაშვილის** პასი და ლომაიას შედეგიანი დარტყმა.

# ბრძოლას ნუ გვიკრძალავთ!

**ნესტორ მუმლაძის** ამქარი მძიმე ბრძოლისთვის ეწვია შიდა ქართლის მთავარ ქალაქს. შესაბამისად მომზადებულები დახვდნენ მომხვდურთ გორელებიც. ბრძოლას და დაძაბულობას ელოდა „თენგიზ ბურჯანაძეზე“ შეკრებილი პუბლიკაც და ამ თვალსაზრისით მოლოდინი გამართლდა. შედეგი კი... ფიქრებით უკვე მოპოვებულ ქულას უმატებდნენ გორელები სატურნირო ცხრილში მათი გუნდის აქტივს, მაგრამ **დავით ლომაიამ** გოლი ლამის გზაში დააწია მათ.

დაძაბულობა თამაშს თავიდან ბოლომდე გასდევდა მუქ ფონად. ამის ბრალი იყო, რომ დებიუტიდანვე ეტყობოდათ მოწინააღმდეგე გუნდებს მომეტებული სიფრთხილე, როგორც მოედანზე გადაადგილებებისას, ისე კომბინაციის დაწყებისა თუ დასრულების, ანდა პასის დროს.

ორივე მწვრთნელმა ორი ფორვარდი გამოიყვანა მინდორზე. ხოლო ნახევარმცველები და დაცვის ხაზი ოთხიოთხი ფეხბურთელით დააკომპლექტა. პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს. ჯერ **სახოკიას** დაასწრო **ილურიძემ**, მერე კი მან **კაიშაურისკარგი** თავური მოიგერია.

მართალია, გარკვეული დოზით ორივე გუნდი ცდილობდა შეტევებით „თავის შექცევას“, მაგრამ პირველ ტაიმში სიმწვავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და არ გავითვალისწინებთ უგოლობის ფაქტორს, ვიტელთა იერიშები უფრო პროდუქტიული გახლდათ. სახოკია და **გელაშვილი** სწორედ პირველ 45 წუთში უფრო მეტად აწუხებდნენ როგორც მასპინძელთა დაცვის ხაზს, ისე მათ გოლკიპერს. მეორე ტაიმში ორივე მათგანი მოედანზე დაიკარგა და იმავდროულად, მეორე ტაიმში გამოაჩინეს კლანჭები „დილის“ ფორვარდებმა. **ბექა ჩიტაია**, ვისაც აქამდე ჩატარებულ ორივე შეხვედრაში თითო გოლი შეეგდო, ანალოგიურის გასამეორებლად ბევრს იღწვოდა. სამადაშვილს კი სულ მცირედი დააკლდა გასატანად, მაგრამ **ბედიაშვილის** ნაცვლად, ძელმა იხსნა ვეტერინართა კარი.

განსაკუთრებით გამორჩეული ორივე ტაიმის შუაწელში თითოეული მეტოქის რამდენიმეწუთიანი „აფეთქება“ იყო. პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიის“, მეორეში კი „დილის“ შესრულებით. თავდაპირველად, ამის ჩამდენი სტუმრები 22-ე წუთიდან ხუთი წუთის განმავლობაში დომინირებდნენ გორელთა კარისა და საჯარიმოს ირგვლივ. სწორედ საჯარიმოს მისადგომებიდან სახიფათო წერტილებიდან სამჯერ დაარტყეს მუმლაძის შეგირდებმა ჯარიმა, მაგრამ ბურთი კედელს ერთხელაც ვერ გადააცილეს. ამ შეტევებისას ნიკა გელაშვილი გახდა ძნელი შესაკავებელი, ოღონდ მცველის მჯობნი ნიკა, ვერ ჯობნიდა ილურიძეს. სახოკიას კი 24-ე წუთზე ვინძლო გორელთა მეკარისთვისაც ეჯობნა, საჯარიმოსთან მყოფს განივი მოძრაობები რომ არ ერჩია მეკარემდე მდგარ ერთადერთ მცველზე წასვლას.

ვიდრე მსგავს ხუთწუთიან დომინაციას შემოგვთავაზებდა, „დილამ“ მეორე ტაიმის დასაწყისშივე 48-ე წუთზე გვარიანად აწერვიულა მუმლაძის სამწყსო. აქ ბედიაშვილი გაირჯა ერთობ კარგად და ბრძოლაში თავგანწირვით შესული მოედნიდან კინაღამ საკაცით გაიყვანეს.

61-ე წუთზე კი ის დაიწყო, რამაც ადგილობრივ მაყურებელს სამ ქულაზე ოცნების საშუალება მისცა. ჯერ **სამადაშვილმა** გაარტყა ძელს, შემდეგი შეტევისას კი „ვიტ ჯორჯიის“ კართან ისეთი არეულობა შეიქმნა, თვითონ შემტევნიც დაიბნენ და **ნიკა სადალაშვილმა** და იმავე გურამ სამადაშვილმა ბურთი დაწნეულ მცველებში ვერ გააძვრინეს. 65-ე წუთზე კი ბექა ჩიტაია იყო ახლოს გოლთან. შეხვედრის ბოლო მეოთხედს მანამდელი სიხშირით აღარ მოუტანია სახიფათო მომენტები.

აქ უკვე ნერვების თამაში სჭარბობდა ბურთით თამაშს, თუმცა გორელთა არენა ნაომარს ნამდვილად არ დამსგავსებია.



კარგი შთაბეჭდილება დატოვა შეცვლაზე შემოსულმა ვიტელმა **გიორგი მელქაძემ**. თავის მხრივ, **მამუკა ვარდოსანიძემ** ცვლილებები მატჩის მინურულს გააკეთა, შედარებით ადრე მოედანზე შეშვებული ახალწვეული, ექსსიონელი **გიორგი კვიტაიშვილი** კი ნამდვილად ვერ იყო გამორჩეული, ვფიქრობთ, მას ჯერ შეთამაშება აკლია თანაგუნდელებთან.

აი გოლი კი... დამატებულ წუთებზე **ლუქაშვილის** ნალვაწმა და ლომაიას დაგვირგვინებულმა თბილისელებს ძალიან დიდი სიხარული მოუტანა, გორელებს კი ზუსტად ასეთივე გულისწყვეტა.

ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია): *„ძალიან ძნელი ბრძოლა იყო. როგორც ჩანს, „დილა“ სერიოზულ გუნდად ყალიბდება. ვფიქრობ, დამსახურებლად გავიმარჯვეთ.“*

მამუკა ვარდოსანიძე (დილა): *„მე კი მგონია, რომ ჩვენ არ დავიმსახურეთ ეს წაგება. არ მიყვარს მსაჯებზე საუბარი, მაგრამ... არბიტრმა ბოლო წუთებში აღარ ამოგვასუნთქა. ფაქტობრივად არ მოგვცა თამაშის საშუალება. იმიტომაა, საერთაშორისო არენაზე რომ ვერ ვარგობენ ქართული გუნდები. ნუ უკრძალავთ ბრძოლას ქართველ ფეხბურთელებს.“*

**რჩეული**

დავით ლომაია

დიდი საქმე გააკეთა ამ მოთამაშემ. მატჩის განმავლობაში რამდენჯერმე მწვავედ ჩაერთო თავისი გუნდის შეტევებში, ორჯერ გატანაც შეეძლო, თუმცა ერთხელ დააგვიანა, ერთხელ მეკარემ აჯობა. დამატებულ წუთზე კი ლომაიამ მეტოქის კარის დარაჯსაც აჯობა და იქნებ საკუთარ თავსაც. „ვიტ ჯორჯიამ“ მაშინ მოიმკო მოგება, რომელსაც ისინი ვფიქრობთ, უკვე აღარც ელოდნენ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**სიონი-ბათუმი**

**1:0**

24.08. ბოლნისი. თ. სტეფანია
300 მაყურებელი

გოლი: 1:0 ჩასემი (57. სანიკიძის პასით)

სიონი: ბობლიაშვილი – სვანიძე, ბოიომო, ოქროპირიძე, თავბერიძე – ლ. ბაჯელიძე, სანიკიძე, გაგუა (62. ნადირაძე), რაქვიაშვილი – ქარდავა (46. ქუთათელაძე (79. კვიციანი), ჩასემი

სათადარიგოები: გ. იაშვილი, მენთესაშვილი, ა. ნოზაძე, კოსტავა

ბათუმი: თოთლაძე – კუნჭულია, თედორაძე, გალოგრე, მაკარიანი (51. ლ. მახარაძე) – ბეჟანიძე (76. ბაციკაძე), ზ. ჭელიძე, დარჩიძე, დემურაძე – კაკალაძე (55. ოქრუაშვილი), გ. მოდებაძე

სათადარიგოები: მამინაშვილი, ა. ბაჯელიძე, ტულუში, ცანავა.

გაფრთხილება: თედორაძე (70), ნადირაძე (72), თოთლაძე (74), დარჩიძე (89), კვიციანი (90).

გამოუყენებელი პენალტი: სვანიძე (89. მეკარე)

არბიტრი: მ. ურუშაძე

**სტენოგრამა**

**7.** **ბაჯელიძის** მოწოდებული კუთხურისას **გაგუამ** დაარტყა, მაგრამ **თოთლაძემ** იმარჯვა.

**25.** **ჩასემის** ჩაწოდების შემდეგ გაგუამ ბურთი კარში თავით გადაგზავნა, მაგრამ მცირედით ააცილა.

**26.** **გოგა მოდებაძის** დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, ბურთი **კაკალაძეს** მოუვიდა, მაგრამ მან ახლოდან უხეიროდ დაარტყა და მეკარემ იმარჯვა.

**45.** კაკალაძის დარტყმული ბოლნისელთა მეკარემ აიღო.

**48.** გაგუას საჯარიმო დარტყმა ოდნავ ასცდა სტუმართა კარს.

**57.** 1:0 - ბოლნისელთა მორიგი შეტევა. არეულობა სტუმართა საჯარიმოში. **სანიკიძის** დარტყმულს მცველები გადაეფარნენ. ასხლტილი ბურთი ჩასემს მოუვიდა, რომელმაც ცხრიანში გაიტანა.

**69.** **ბეჟანიძის** დარტყმული **ბობლიაშვილმა** აიღო.

**70.** ვიზავის **თოთლაძე** არ ჩამორჩა და **სვანიძის** დარტყმულს გადაეფარა.

**72.** **ნადირაძემ** რეიდისას შენიშნა, რომ თოთლაძე წინ იყო გამოსული და ტექნიკური დარტყმით მისთვის ბურთის თავზე გადავლება განიზრახა, მაგრამ თოთლაძე მიხვდა მეტოქის ჩანაფიქრს და ბურთი აიღო.

**89.** შეცვლაზე შესულმა **კვიციანმა** პენალტი მოიპოვა. სვანიძის დარტყმული თერთმეტმეტრიანი თოთლაძემ მოიგერია.

**90.** სვანიძის დარტყმულს თოთლაძე კიდევ ერთხელ გადაეფარა.

# ჩასემის სამქულიანი

ბოლნისში გამართული მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სტადიონზე შეკრებილი ქომაგები მატჩის დაწყებამდე ლიად და თამამად აცხადებდნენ - "სიონმა" ეს თამაში თუ ვერ მოიგო, **ნოდარ აკობიას** ბოლნისელთა გუნდთან გამოთხოვება მოუწევსო. ერთი სიტყვით, ბოლნისელთა მტკიცებით, აკობიას გუშინ ერთგვარი ვატერლოო ჰქონდა. მაგრამ მოიგო და დარჩა. აღსანიშნავია ერთი მომენტიც: სარწმუნო წყაროების თქმით, აკობიას გადაწყვეტილებით **ერიკ რომეო ჩასემი** ამ ცოტა ხნის წინათ ტრანსფერზე ყოფილა დაყენებული. გუშინდელი მატჩი კი სწორედ ჩასემის გოლის წყალობით მოიგო "სიონმა"...

აკობიასვე დაუწუნებია **ზაზა ჭელიძე** და **გოგა მოდებაძე**. ეს ორი ფეხბურთელი გუშინ არამარტო "ბათუმში", არამედ მთლიანად თამაშში გამორჩეულები იყვნენ.

რადგან გამორჩეულებზე მიდგა საქმე, არ შეიძლება არ გამოვყოთ მასპინძელთა კაპიტანი **დავით სვანიძე** (პენალტის ვერგატანის მიუხედავად), აშკარად მოუმატა **ლევან სანიკიძემ**, გამოირჩეოდა **გიორგი თავბერიძე**.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მალე დაეუფლნენ უპირატესობას. თუმცა ტაიმის შუაწელს სტუმრებიც გამოცოცხლდნენ და შესვენებამდე თამაშის გათანაბრებაც შეძლეს. უგოლო ტაიმის შემდეგ, "სიონმა" მეორე ნახევარიც აქტიურად დაიწყო. ბათუმელებმა მეორე ფორვარდი **კაკალაძე** ნახევარმცველით შეცვალეს და დაცვაში ჩასხდნენ. ამით სტურმებმა იხეირეს კიდეც.

მორიგი შეტევისას, მატჩის გმირის, **ჩასემის** გოლით ბოლნისელები დაწინაურდნენ. უფრო მეტიც, "სიონს" მეორე გოლი გატანაც შეეძლო. თუმცა, **კვიციანის** მიერ მოპოვებული პენალტით კაპიტანმა სვანიძემ ვერ იხეირა.

ბოლნისელთა გუნდში შეცვლაზე შესულმა **ნიკა ნადირაძემ** კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ქუთაისელ ფეხბურთელს, რომელიც თავის დროზე "ტორპედოში" ბრაზილიელმა მწვრთნელმა **კამპუშმა** აღმოაჩინა, საკმაო პოტენციალი გააჩნია და იმედია, ამას სათანადოდაც გამოიყენებს.

ამირან გოგიტიძე (ბათუმი): *"სიონს" მოგებას ვულოცავ. ჩვენი გუნდი ახალი შეკრებილია და ჯერ კიდევ არ ვართ სათანადოდ შეთამაშებულნი. დღევანდელ მატჩში დადებითი მომენტები გამოჩნდა, რაც სამომავლოდ დიდ იმედს მაძლევს".*

ნოდარ აკობია (სიონი): *"დაძაბული მატჩი გამოდგა. ჩვენი გუნდიც არაა სათანადოდ შეთამაშებული. "ბათუმმა" ეს თამაში კარად ჩაატარა. შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით კი არა.*

*ქუთათელაძე რატომ შეცვალე? მას საკმაო პერიოდი გაიცდა და ჯერ კიდევ არაა ფორმაში".*



ერიკ რომეო ჩასემი

**რჩეული**

ერიკ რომეო ჩასემი

მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. მოედანზე საკმაოდ ბევრს მოძრაობდა და გოლის გარდა, არაერთი სახიფათო მომენტის ავტორი და თანაავტორი გახლდათ.

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 2. მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 3. სპარტაკი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 4. ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5. სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ბორჯომი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 7. დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 8. ამერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 9. მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10. ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 11. დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 12. ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13. ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |
| 14. მერანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| ბ. ჩიტაია (დილა) | 2 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 2 |

**პირველი ლიგა**

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ოლიმპიკი | 0:0 |
| მეშაქრე-გაგრა | 7:1 |

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| კოლხეთი ხ.-კოლხეთი ფ. | 0:2 |
| უნივერსიტეტი ქ.-სამტრედია | 2:0 |
| ზესტაფონი 2-მერანი მარტვ. | 0:0 |
| მაღაროელი-ფაზისი რაჭა | 3:0 |
| მეშახტე-ტორპედო | 2:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. III ტურის წინ

# შალკეს მაგათი გამოცდის!

## დესპოტი ფელიქსი მხიარული მირკოს წინააღმდეგ, ვისი აჯობებს?

**გუშინ**

ბოხუმი-ჰამბურგი

**დღეს**

შტუტგარტი-დუისბურგი
ბაიერნი-ჰანოვერი
ლევერკუზენი-კარლსრუე
ნიურნბერგი-ვერდერი
ბორუსია (დ)-კოტბუსი
არმინია-ჰერტა

**ხვალ**

აინტრახტი-ჰანზა
ვოლფსბურგი-შალკე

წინა სეზონში "ჰანოვერმა" მიუნხენში სენსაცია მოახდინა და "ბაიერნს" "ალიანს არენაზე" 1:0 მოუგო. ის ერთადერთი გოლი კი, რეკორდმაისტერს, **ჟაბოლჩ ჰუშტიმ** გაუტანა, რომელიც მიუნხენური გიგანტის წინააღმდეგ დღესაც ითამაშებს. სხვათა შორის, ეს გახლდათ "ჰანოვერის" პირველი მოგება მიუნხენში - მანამდე "96"-ს ბავარიის მთავარ ქალაქში 15 წაგება და მხოლოდ 2 ფრე ჰქონდა. მაგრამ "ბაიერნი" დღეს სხვა გუნდია, გუნდი, რომელმაც თავს წესით, აღარ უნდა მისცეს იმის უფლება, რომ "ჰანოვერთან" ქულები დაკარგოს.

როგორც იცით, **ოტმარ ჰიტცფელდი** დღეს **მიროსლავ კლოზეს** ვერ დაიხმარს. შესაბამისად, FCB დღეს ერთი ფორვარდით დაიწყებს თამაშს და ეს ერთადერთი თავდამსხმელი **ლუკა ტონი** იქნება. შესაბამისად, ძირითადში **ჰამით ალთინთოფს** ვიხილავთ, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში პირველად, **ლუკას პოდოლსკი** განაცხადშია შეყვანილი. პოლდიმ ტრავმა მოიშუშა და სრულ მზადყოფნაშია, მაგრამ ოტმარი მას ალბათ, მხოლოდ მატჩის ბოლოს შეუშვებს მინდორზე. "ჰანოვერის" თავკაცი **დიტერ ჰეკინგი** შეგირდებს თავისუფლად თამაშისკენ მოუწოდებს, "ბაიერნი" შესანიშნავი გუნდია, მაგრამ მიუნხენიდან ხელცარიელები არ უნდა დავბრუნდეთო. აღსანიშნავია, რომ "ჰანოვერს" დღეს ვეტერანი, ექს-ბაიერნელი **მიხაელ ტარნატი** არ ეყოლება.

ჩემპიონი "შტუტგარტი" "დუისბურგთან", რა თქმა უნდა, ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო ხუთი საშინაო მატჩიდან, შვაბებმა "ზებრებს" მხოლოდ ერთხელ მოუგეს (1999/00 წლების სეზონში, 4:2). "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" ამ გუნდების ბოლო დაპირისპირება კი "დუისბურგის" გამარჯვებით (1:0) დასრულდა. შვაბთა თავკაც **არმინ ფეეს რიკარდო ოსორიო** გამოუჯანმრთელდა. მწყობრში არიან და სავარაუდოდ, თამაშს მოახერხებენ ძირითადი ფორვარდები, **მარიო გომესი** და **კაკაუ**. "შტუტგარტს" ორი ტურის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა აქვს და ვალდებულია, "დუისბურგთან" სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმოს.

"შტუტგარტის" დარად, ორი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა აქვს ჩემპიონობის კიდევ ერთ მაძიებელ "ვერდერსაც". ბრემენულ კლუბს მძიმე სტარტი გამოუვიდა და არც მესამე ტურში ჰყავს იოლი მეტოქე - "მუსიკოსები" ნიურნბერგში თამაშობენ. **თომას შააფმა,** ფაქტობრივად, სასწაული უნდა მოახდინოს, რადგან 7 ფეხბურთელის ტრავმას ისიც დაემატა, რომ **კარლოს ალბერტო** და **ბოუბაკარ სანოგოც** დაშავდნენ და დღეს ვერ ითამაშებენ. შესაბამისად, შააფს სხვა გზა არა აქვს, თავდასხმაში **უგო ალმეიდასა** და **მარკუს როზენბერგის** დუეტი უნდა ათამაშოს. არის ახალგაზრდა **შინდლერის** ვარიანტიც, მაგრამ თომასი ალბათ, მაინც გამოცდილებს ენდობა. სამაგიეროდ, ბრუნდება ახალწვეული **ტოშიჩი,** რომელიც დაცვის მარცხენა ფლანგზე, წინა ტურში **რიბერის** მიერ მასხრად აგდებული **კრისტიან შულცის** ადგილს დაიკავებს. **ჰანს მაიერს** კი **ანგელოს ხარისტეასი** დაუშავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად შემადგენლობაში, ცენტრფორვარდად ავსტრალიელი **ჯოშუა კენედი** ითამაშებს.

დორტმუნდის "ბორუსიამ" საშინელი სტარტი აიღო - 2 მარცხის შემდეგ, **თომას დოლის** გუნდი ბოლო ადგილზეა. BVB-ს მეტოქე ამჯერად მოკრძალებული "კოტბუსია", მაგრამ სწორედ ამ მოკრძალებულმა "კოტბუსმა", წინა სეზონში "ვესტფალენშტადიონზე" 3:2 იმარჯვა... დოლი ძირითად შემადგენლობას გვარიანად შეცვლის და მოსალოდნელია, რომ თავდასხმაში **ნელსონ ვალდესისა** და **ჯოვანი ფედერიკოს** წყვილს გაამწესებს, მაგრამ ერთი ცვლილება გარდაუვალია: "დორტმუნდის" კარს **მარკ ციგლერი** დაიცავს, რადგან **რომან ვაიდენფელერს ჯერალდ ასამოას** შეურაცხყოფისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა.

ყველაზე ცუდად მაინც "ლევერკუზენს" აქვს საქმე კერძოდ, იმ მხრივ, რომ **მიხაელ სკიბეს** გუნდი ერთადერთია ბუნდესლიგაში, რომელსაც გატანილი გოლების გრაფაში ჯერაც 0 უწერია. სეზონის პირველი გოლის გატანას "ფარმაცევტები" ამჯერად "კარლსრუესთან" შეეცდებიან და ვინიცობაა, **ბერნდ შნაიდერმა** იხეიროს, რომელიც დღეს ბუნდესლიგაში 250-ე შეხვედრას ჩაატარებს. "კიკერი" **ალექსანდრე იაშვილს** ისევ სათადარიგოთა სკამზე მოიაზრებს. თანაც, ქართველს მცირე ტრავმა აწუხებს. დღესვე, "არმინია", რომელსაც ჯერ წაგება არა აქვს, "ჰერტას" უმასპინძლებს. ბილეფელდელებს ლიდერი **იორგ ბიომე** არ ეყოლებათ. ბერლინელები ამ კვირაში სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდნენ და **ტობიას გრანი** შეიძინეს. "ჰერტას" **არნე ფრიდრიხის** გარეშე მოუწევს ასპარეზობა - კაპიტანი ტრავმირებულია.

ხვალ, "შალკეს", როგორც "ბაიერნის" უმთავრეს კონკურენტად მიჩნეულ გუნდს, "ვოლფსბურგში" უმძიმესი გამოცდა ელის. **ფელიქს მაგათმა** "მგლებს" თავისი ხელი ნელ-ნელა დაატყო. თანაც, ხვალ ბრაზილიელ **ჟოსუეს** დებიუტი უნდა შედგეს, რომელიც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, **კიროგას** შეცვლის. **კობიაშვილის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა - "კიკერი" გვამცნობს, რომ ლევანი აუცილებლად ითამაშებს. ხვალვე, "აინტრახტი" ფრანკფურტში "ჰანზას" მიიღებს. მასპინძლებს დაცვის ბურჯი **სოტირიოს კირიაკოსი** არ ეყოლებათ - ბერძენს მაღალი სიცხეები აწუხებს.



ფელიქს მაგათი და მირკო სლომკა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 2. ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 6-3 | 4 |
| 4. არმინია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 5. ბოხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. აინტრახტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 8. ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 9. დუისბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 10. ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11. ჰანოვერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12. ნიურნბერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13. კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14. ლევერკუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15. შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 16. ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 17. დორტმუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |
| 18. ჰანზა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტურის წინ

# იუნაიტედი გამარჯვების მოლოდინში

## სვენი და სიტი ზედიზედ მეორე გამოცდას ჩააბარებენ...

**დღეს**

არსენალი-მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა-ფულჰემი
ბოლტონი-რედინგი
ჩელსი-პორტსმუთი
დერბი-ბირმინგემი
ევერტონი-ბლექბერნი
სანდერლენდი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ვიგანი

**ხვალ**

მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი
მიდლსბრო-ნიუკასლი

ერთი კვირის წინათ **სვენ გორან ერიქსონმა** "მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა. დღეს მის შეგირდებს მორიგი გამოცდა აქვთ. "სიტი" "არსენალის" სტუმარია. სვენის გუნდი პრემიერლიგას ლიდერობს. მან სამიდან სამივე მატჩი მოიგო და ერთი გოლიც კი არ გაუშვია. მანჩესტერელებს ასეთი სტარტი 1991 წლის შემდეგ არ ჰქონიათ. მათ 16 წლის წინაც სამი გამარჯვებით დაიწყეს, სეზონი კი მეხუთე ადგილზე დაასრულეს. *"პირველ ტურებში მოულოდნელობის ეფექტი დიდი იყო,* - ამბობს სვენი, - *ჩვენს ფეხბურთელებს კარგად არ იცნობდნენ, მაგრამ მომდევნო მატჩებში ამით ველარ ვისარგებლებთ. მწვრთნელები ვიდეოჩანაწერებს შეისწავლიან. ვიცი, რომ არსენ ვენგერი ჩვენს თამაშებს გაშიფრავს. ასე რომ, ველარავის გავაკვირვებთ."* შთამბეჭდავ ფორმაშია "სიტის" ახალგაზრდა მცველი **მიკა რიჩარდსი**. ის ინგლისი-გერმანიის მატჩში (1:2) მასპინძელთა საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

"არსენალმა" ორ მატჩში ოთხი ქულა მოიპოვა. გერმანელმა გოლკიპერმა **იენს ლემანმა** ორივე შეხვედრაში უხეში შეცდომები დაუშვა. "არსენალმა" "ფულჰემს" მაინც მოუგო, "ბლექბერნთან" კი ველარაფერს გახდა. ასე რომ, ბოლო ტურში განიავებული ორი ქულა გერმანელის სინდისზეა. დღეს "მეთოფეების" კარს ესპანელი **მანუელ ალმუნია** დაიცავს. არა იმიტომ, რომ **არსენ ვენგერი** ლემანს აღარ ენდობა. იენსმა ინგლისთან თამაშისას აქილევსის მყესი დაიზიანა და ორი კვირა დაისვენებს. თუ ალმუნია საიმედოდ ითამაშებს, გერმანელს შეიძლება ამაზე დიდხანს მოუხდეს სკამზე ჯდომა. ლონდონელთა პრობლემები ამით არ ამოიწურება. ტრავმები აქვთ მცველებს - **ვილიამ გალასსა** და **ემანუელ ებუეს**. გამოჯანმრთელდა **ჟილბერტო სილვა**. ძირითადში ვიხილავთ **როლანდო ბიანკისა** და **სტივ ირლანდს**. ამ უკანასკნელს ვირუსი ჰქონდა, მაგრამ უკვე მწყობრშია. ბიანკიმ მანჩესტერული დერბი სკამზე გამოტოვა, მაგრამ მოგეხსენებათ, **ვალერი ბოჟინოვმა** ხანგრძლივი შვებულება გამოიწერა. ამიტომ ბიანკის ძირითადში თამაში გარანტირებული აქვს.



სერ ალექს ფერგიუსონი

"მანჩესტერ იუნაიტედი" "ტოტენჰემს" მასპინძლობს. ამ გუნდებმა სეზონი დიდი ამბიციებით, მაგრამ წარუმატებლად დაიწყეს. ჩემპიონებს ერთხელაც არ მოუგიათ. სტუმართა თავკაც **მარტინ იოლს** კი უმძიმესი ერთი კვირა ჰქონდა. ბრიტანული გაზეთები მის გარდაუვალ დათხოვნაზე წერდნენ. სპეკულაციების თანახმად, იოლი სევილიელ **ხუანდე რამოსს** უნდა შეეცვალა. მხოლოდ ხუთშაბათს გაირკვა, რომ მწვრთნელის შეცვლა არ იგეგმება - ჯერჯერობით მაინც. "მამლების" მეკარემ **პოლ რობინსონმა** ის მიმომხილველები გააკრიტიკა, რომელთაც იოლის წინააღმდეგ გაილაშქრეს: *"სეზონი მანჩესტერზე უკეთ დავიწყეთ. მათზე უკეთესი ადგილი გვიკავია, მაგრამ ალექს ფერგიუსონზე არავინ არაფერს ამბობს. მაშ, რატომ ჩვენი მწვრთნელი?"* სხვათა შორის, თვითონ რობინსონსაც ალმაცერად უყურებენ. გერმანიასთან მატჩში მისმა უხეშმა შეცდომამ ინგლისს საკუთარ მოედანზე წააგებინა. თანაც ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა "ტოტენჰემის" მეკარეს საზარელი იაღლიში მოუვიდა.

"მანჩესტერ იუნაიტედს" კვლავ არ ეყოლება **გარი ნევილი**. კაპიტანი კიდევ ორ კვირას დაისვენებს. **ლუის საა** განაცხადში უნდა შეიყვანონ. მწყობრშია **ედვინ ვან დერ სარი,** რომელმაც ჰოლანდიის ნაკრების შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. სასჯელის გამო მეორე მატჩს გამოტოვებს **კრისტიანო რონალდო**. მოგეხსენებათ, **უეინ რუნიც** დაშავებულია. "ტოტენჰემის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩს ჩაატარებს **გარეთ ბეილი** (ამ ბიჭის შეძენა "იუნაიტედსაც" სურდა). საეჭვოა **დიმიტარ ბერბატოვის** (ამბობენ, რომ იოლმა მისი გაყიდვა მოითხოვა) ასპარეზობა. **დარენ ბენტი** დაისვენებს. დაშავებულები არიან **ბენუა ასუ-ეკოტო, მაიკლ დოსონი, იუნეს კაბული, ლედლი კინგი** და **აარონ ლენონი.**

"ლივერპული" სანდერლენდში მიემგზავრება. მასპინძლებს კაპიტანი **დინ უაიტჰედი** არ ეყოლებათ. მან მუხლი დაიზიანა და ერთთვიანი დასვენება ემუქრება. საეჭვოა მცველ **პოლ მაკშეინის** თამაში. გამოჯანმრთელდა კიდევ ერთი მცველი **გრანტ ლიდბიტერი. რაფა ბენიტესი** ბოლო წუთს გადაწყვეტს, ათამაშოს თუ არა კაპიტანი **სტივ ჯერარდი**. მას ფეხის თითი აქვს მოტეხილი და ერთი კვირის წინათ, "ჩელსისთან" ტკივილ გამაყუჩებლით ითამაშა, ინგლისი-გერმანიის შეხვედრა კი გაუცდა. "სანდერლენდს" შინ 2007 წელს ერთხელაც არ წაუგია და ზედიზედ მეშვიდე საშინაო მოგებას უმიზნებს.

გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი "ჩელსი" პორტსმუთს მასპინძლობს. "არისტოკრატებმა" პრემიერლიგაში ამ გუნდს რვიდან რვა შეხვედრა მოუგეს. ლონდონელთა ბანაკიდან სიახლე არ არის. სტუმრებს კი სამი მცველის დაბრუნების იმედი აქვთ - **სოლ კემპბელის, ლორენისა** და **ნოელ პამაროსი.** საეჭვოა ორი ნახევარმცველისა და ერთი თავდამსხმელის - **ნიკო კრანჩარის, გარი ონილისა** და **პედრო მენდესის** თამაში. სასჯელის შემდეგ ძირითადში დაბრუნდება **სული მუნტარი.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ ს | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 2. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 3. ვიგანი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 4. ევერტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 5. პორტსმუთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 6. ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 7. ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 9. ბლექბერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 10. რედინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 11. სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 12. ტოტენჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 13. ფულჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 14. მიდლსბრო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 15. ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 16. მანჩესტერ იუნ | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 17. ასტონ ვილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 18. ბირმინგემი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |
| 19. დერბი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| 20. ბოლტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

### ინტერი კოვაჩს ეპატიჟება

*"მარკო მატერაცის მძიმე ტრავმა "ინტერს" აიძულებს, ახალ ცენტრალურ მცველზე იფიქროს",* - გამოტყდა **სინიშა მიხაილოვიჩი**. მთავარ კანდიდატად ითვლება მოსკოვის "სპარტაკის" მოთამაშე, 27 წლის ჩეხი **რადოსლავ კოვაჩი. რობერტო მანჩინის** მისი შეძენა ჯერ კიდევ შარშან სურდა და მასში 6 მილიონ ევროსაც იხდიდა, თუმცა რიგმა გარემოებებმა გარიგება ჩაშალა. ახლა, "სელტიკთან" საშინაო 1:1-ის შემდეგ, როცა "თეთრ-წითლებს" ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ეტაპზე მოხვედრის არცთუ ნათელი შანსები აქვთ, იტალიის ჩემპიონს შეუძლია სიტუაციით ისარგებლოს და ტრანსფერი გაჩარხოს. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელს "სპარტაკის" შემადგენლობაში წლეულს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე აქვს ნათამაშები და ჯგუფურ ეტაპზე ველარ იასპარეზებს, მისი ღირებულება რუსების შეფასებით 11 მილიონი ევროა. ახალი წესის თანახმად, ფეხბურთელს ლიგაში "ინტერის" ღირსების დაცვა იანვარში შეეძლება. თუმცა იანვარში მატერაციც დაბრუნდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გარიგება ამ ჯერზეც ჩაიშლება, მწვრთნელს ამ პოზიციაზე **ვალტერ სამუელი** და **კრისტიან კივუ** რჩება, რაც მანჩოს მშვიდი ძილის საშუალებას მისცემს.

### დენილსონი დალასში

ამერიკული MLS-ის კლუბი "დალასი" ბრაზილიელი **დენილსონით** გაძლიერდა. ფეხბურთელი ახლა 30 წლისაა, თუმცა დიდი ხანია მაღალ დონეზე ფეხბურთი აღარ უთამაშია. ევროპაში მას ბურთი "ბორდოსა" და "ბეტისში" უგორებია. ამ უკანასკნელის პრეზიდენტმა მანუელ ლუის დე ლოპერამ, თავის დროზე, ჯერ კიდევ თინეიჯერი ბრაზილიელი მსოფლიოს უძვირფასეს ფეხბურთელად აქცია, გადაიხადა რა მასში ასტრონომიული თანხა 35 მილიონი დოლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. I ტურის წინ

# პირველი ყოველთვის სპეციფიკურია...

## მილანი რონალდოსა და ფანების გარეშე

**დღეს**

ლაციო-ტორინო
იუვენტუსი-ლივორნო

**ხვალ**

ფიორენტინა-ემპოლი
ჯენოა-მილანი
ინტერი-უდინეზე
ნაპოლი-კალიარი
პალერმო-რომა
პარმა-კატანია
რეჯინა-ატალანტა
სიენა-სამპდორია

მაშ ასე, დღეს იტალიის ჩემპიონატი იწყება. შარშანდელთან შედარებით, როცა "კალჩოპოლის" სკანდალმა აპენინები შოკში ჩააგდო, წლეულს აჟიოტაჟი ერთიორად მეტია. მაგრამ ეს აჟიოტაჟი ახლა ჯანსაღია და ემოციური იტალიელები უკვე კალჩოს რენესანსზეც საუბრობენ. რა და როგორ იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი პირველი ტურის წინასამატჩო ამბებზე ვისაუბროთ.

ხსენებული აჟიოტაჟის მთავარი პერსონაჟი "იუვენტუსია", რომელიც დღეს "ლივორნოს" მასპინძლობს. ეს უკანასკნელი ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. **ფერნანდო ორსის** განკარგულებაშია ფორვარდთა ახალი ტანდემი, **ტავანოსა** და **დიეგო ტრისტანის** სახით, გაძლიერდა გუნდის სხვა რგოლებიც. ნახევარდაცვაში დაიმატეს **ჯანიკედა**, რომელსაც დღეს ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწევს თამაში, და ფრანგი **დორასო**, რომელსაც თავის დროზე "მილანში" კარიერა არ აეწყო. თუმცა ტრავმის გამო, დორასო დღეს ვერ ითამაშებს. პრინციპში, ორსისთვის ეს ერთადერთი დანაკლისია.

ახალმა "იუვენტუსმა" გუნდის ბირთვი უკლებლივ შეინარჩუნა. ძველი გვარდიის გარშემო კი თავი მოიყარეს ნიჭიერმა ახალგაზრდებმაც და მათთან ერთად, უკვე გამოცდილმა მოთამაშეებმაც, ახალია მწვრთნელიც. რაკი სტარტი ყოველთვის სპეციფიკურია, **კლაუდიო რანიერი**, ალბათ, არ გარისკავს და ძირითადში **დელ პიერო-ნედვედი-ტრეზეგეს** ნაცად ტრიოს დააყენებს. მწვრთნელს შეუძლია **იაკუინტას** გამოყენებაც.

შაბათსვე, "ლაციო" გაძლიერებულ "ტორინოს" მიიღებს. **დელიო როსიმ** გუნდის შარშანდელი სახე შეინარჩუნა. თუმცა მას სასტარტო მატჩშივე ექნება პრობლემები და თანაც, დაცვაში, სადაც **კრიბარი** (უეფას თასის მატჩში მძიმედ რომ დაშავდა) და **სტენდარდო** (კუნთი აქვს დაჭიმული) არ იქნებიან. აქედან გამომდინარე, როსი დაცვის ცენტრში **სკალონისა** და **ძაურის** დააყენებს. წელს იტკიებს ფორვარდი **როკი**, რომელიც თამაშისთვის კი ემზადება, მაგრამ მაინც ეჭვქვეშაა.

მოსალოდნელია, რომ **ვალტერ ნოველინო** სეზონის პირველივე მატჩში ხუთ დებიუტანტს დააყენებს, მათ შორის, მეკარე **სერენისაც**, რომელიც წინა ჩემპიონატში სწორედ "ლაციოს" კარს იცავდა. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ "ტორინოს" "ლაციალესთვის" გასვლითი მატჩი 1993 წლის შემდეგ არ მოუგია.

"ინტერი" მარათონში კვირას ერთვება. ჩემპიონი "უდინეზეს" უმასპინძლებს. როგორც ჩანს, **რობერტო მანჩინი** სასტარტოში 11 ლეგიონერს გაამწესებს. საქმე ისაა, რომ უნგრეთთან ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის გამო, **მატერაცი** მოედანს კარგა ხნით ჩამოშორდა. მას ან კოლუმბიელი ახალწვეული **რივასი** შეცვლის, ან არგენტინელი **სამუელი**. მანჩინის დიდი არჩევანი აქვს თავდასხმაშიც, მეტადრე **სუასოს** მოსვლის შემდეგ. სავარაუდოდ, **იბრაჰიმოვიჩს** სწორედ ჰონდურასელი შეუწყვილდება. იმავე უნგრეთთან მატჩში მცირე ტრავმა მიიღო "უდინეზეს" ფორვარდმა **დი ნატალემაც**, რომლის თამაშიც საეჭვოა. აქედან გამომდინარე, ფრიულელთა ახალი მწვრთნელი **პასკუალე მარინო** თავდასხმაში ახალწვეულების - **კვალიარელასა** და **ფლორო ფლორესის** დუეტს მოიაზრებს.

"მილანი" დებიუტანტ "ჯენოასთან" სათამაშოდ ფანების გარეშე (1995 წელს "მარასიზე" მომხდარი ტრაგედიის გამო) ჩავიდა, და ჩავიდა **რონალდოს** გარეშეც, რომელიც ტრავმის გამო გუნდს მხოლოდ მესამე ტურიდან თუ დაეხმარება. რაკი გასვლითი მატჩია, **კარლო ანჩელოტი**, ალბათ, ერთი ფორვარდით ითამაშებს და მოელიან, რომ ეს იქნება **ჯილარდინო**, რომელმაც ამხანაგურ მატჩებში, სხვა ფორვარდებთან შედარებით, მწვრთნელზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. სათამაშოდ მზად არ არის ახალმოსული **ემერსონი**. ამიტომ, კარლეტო ძველი შემადგენლობით დაიწყებს. რაც შეეხება **კახა კალაძეს**, ვერ ვნახეთ საინფორმაციო წყარო, სადაც საქართველოს ნაკრების კაპიტანი ძირითადში იქნებოდა ნავარაუდები. თუმცა ვინ იცის... რაც შეეხება "ჯენოას", **ჯან პიერო გასპერინი** სასტარტოში უპირებს დაყენებას ფორვარდ **ბორიელოს**, რომელიც შარშან "მილანში" ირიცხებოდა.

"ფიორენტინამ" უხეიროდ ჩაატარა წინასასეზონო სპარინგები და ლოგიკურია, რომ "ვიოლას" ფანები სტარტს, ცოტა არ იყოს, შეშფოთებით ელიან. გამოცანაა "ემპოლიც". **ლუიჯი კანის** გუნდმა გასული სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა, მაგრამ ამ ზაფხულს გუნდმა ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა **ალმირონი** ("იუვეში" გადავიდა) დაკარგა. ახლა ისაა საქმე, მოახერხებს თუ არა ურუგვაელი **ჯაკომაცი** ალმირონის სრულფასოვნად შეცვლას.

ნეაპოლში დიდი ფეხბურთი ბრუნდება. დებიუტანტი "ნაპოლი" დასუსტებულ "კალიარის" უმასპინძლებს. კამპანიელებმა ბოლოსლა დაიმატეს **ბლაზი** და **სალაიეტა** (ორივე "იუვენტუსიდან"), რომელთაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პერსპექტივა აქვთ. მაგრამ თავდასხმაში "ნაპოლის" სხვა არჩევანიც აქვს. არგენტინელი დებიუტანტი **ლავეცი** და ადგილობრივი **კალაიო**, რომელმაც გასულ სეზონში ლომის წილი დაიდო "ნაპოლის" ალზევებაში.

"ენიო ტარდინიზე" "პარმა" "კატანიას" მიიღებს. ორივე გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს. პარმელებმა თავდასხმაში ბრაზილიელი ფორვარდი **რეჟინალდო** დაიმატეს, დაცვაში კარგი შენაძენია **ძენონიც**. სიცილიელებმა კი შარშანდელი შემადგენლობის ბირთვი თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს.

ახალი მწვრთნელების დაპირისპირება იქნება "რეჯინა"-"ატალანტა" და "სიენა"-"სამპდორიაც". ამათგან, განსაკუთრებით, "სამპდორია" უნდა გამოვყოთ. გენუელებმა თავდასხმაში მძლავრი შევსება მიიღეს - **კარაჩოლოს**, **მონტელასა** და, რაც მთავარია, **კასანოს** სახით. კარგი გუნდი უნდა იყოს "ატალანტაც", ხოლო "რეჯინა" და "სიენა" გასულ სეზონთან შედარებით დასუსტდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ პირობითად.

ტური "პალერმო"-"რომას" მატჩით დასრულდება. ორივე გუნდი საკმარისად გაძლიერდა. მაგალითად, პალერმოელებს თავდასხმაში **მიკოლი** დაემატათ, მწყობრში დაბრუნდა გასული სეზონის შუაში მძიმედ დაშავებული ფორვარდი **ამაურიც**. "ჯალოროსიმ" კი "ბარსელონიდან" **ჟიული** აიყვანა. **ლუჩანო სპალეტი** უკვე ენდობა ჩერნოგორიელ **ვუჩინიჩსაც**. თუმცა "რომა" პირველივე ტურში ვერ ასცდა დანაკლისს. სუპერთასის მატჩში სათადარიგოთა სკამიდან გაძევებულ **პეროტას** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

## სერია A. ტრანსფერები 2007/08

**ატალანტა**

**მივიდნენ:** მუსლიმოვიჩი (თავ, პარმა), აუმადა (ნახ, რივერ პლეიტი), ოსვალდო (თავ, ლეჩე), გუარენტე (ნახ, ვერონა), დ. კოპოლა (მეკ, მილანი), დე აშენტისი (ნახ, ტორინო), ლაძარი (თავ, პიაჩენცა), ბრივიო (მცვ, ფიორენტინა), ლანჯელა (თავ, კალიარი), ფლოკარი (თავ, მესინა), ტალამონტი (მცვ, რივერ პლეიტი), პადოინი (ნახ, ვიჩენცა), დელ ნერი (მწვ, კიევო).

**წავიდნენ**: მილიაჩო (ნახ, პალერმო), დონატი (ნახ, მილანი), ვენტოლა (თავ, ტორინო), კონსილი (მეკ, რიმინი), ლორია (მცვ, სიენა), ვიერი (თავ, ფიორენტინა), არიატი (ნახ, ლეჩე), ბრივიო (მცვ, ვიჩენცა), პაბლო ოსვალდო (თავ, ფიორენტინა), კოლანტუონო (მწვ, პალერმო).

**კალიარი**

**მივიდნენ:** მატრი (თავ, რიმინი), ლარივეი (თავ, ურაკანი), მარუოკო (მეკ, ფოჯა), შალა (ნახ, ფოჯა), აკვაფრესკა (თავ, ინტერი), ფინი (ნახ, ასკოლი), პაროლა (ნახ, სამპდორია), მალიოკეტი (მცვ, რომა), ფოჯა (ნახ, ლაციო).

**წავიდნენ**: სუასო (თავ, ინტერი), პეპე (თავ, უდინეზე), კიმენტი (მეკ, უდინეზე), ესპოზიტო (თავ, რომა), ლანჯელა (თავ, ატალანტა), კაპონე (თავ, ვიჩენცა).

**კატანია**

**მივიდნენ:** ბაბუ (თავ, ვერონა), ჯაკ. ტედესკო (ნახ, რეჯინა), ვიზონე (ნახ, სამბენედეტეზე), ფალკონიერი (თავ, ბრინდიზი), გაცოლა (ნახ, სასარი ტორესი), დელ კორე (თავ, ჩეზენა), ანასტაზი (ნახ, ჩეზენა), დანუჩი (ნახ, ჩეზენა), ბიძარი (მეკ, ხიმნასტიკი), ლამა (ნახ, სარანდი), ტერლიცი (მცვ, პალერმო), ბალდინი (მწვ).

**წავიდნენ**: როსინი (თავ, ლივორნო), სეზარ ვინისიუ (მცვ, კიევო), კორონა (თავ, მანტოვა), პანტანელი (მეკ, ბოლონია), დანუჩი (ნახ, ტერნანა), ლუჩენტი (ნახ, მანტოვა), მარინო (მწვ, უდინეზე)

**ემპოლი**

**მივიდნენ:** აბატე (ნახ, მოდენა), ვოლპატო (თავ, იუვენტუსი), ჯოვინკო (ნახ, იუვენტუსი), ანტონინი (ნახ, სიენა), მარკიზიო (ნახ, იუვენტუსი), პიკოლო (მცვ, იუვენტუსი).

**წავიდნენ**: ლუკინი (მცვ, სამპდორია), ალმირონი (ნახ, იუვენტუსი), მატეინი (თავ, პალერმო), კორალი (თავ, ჩიტადელა).

**ფიორენტინა**

**მივიდნენ:** მაზუხი (მცვ, ბრნო ჩეხეთი), ვანდენ ბორე (მცვ, ანდერლეხტი), ბალცარეტი (მცვ, იუვენტუსი), ბოჟინოვი (თავ, იუვენტუსი), ჰაბლე (ნახ, ჰრადეც კრალოვე ჩეხეთი), ლუპოლი (თავ, არსენალი), მატავცი (თავ, ნოვა გორიცა), კაეტანო (ნახ, აპუკარანა), გულანი (მცვ, პარტიზანი), ვიერი (ნახ, ატალანტა), სემიოლი (ნახ, კიევო), პაბლო ოსვალდო (თავ, ატალანტა).

**წავიდნენ**: ტონი (თავ, ბაიერნი), რეჟინალდო (თავ, პარმა), კაეტანო (ნახ, სიენა), ბრივიო (მცვ, ატალანტა), პეტინარი (ნახ, რეჯინა), ბოჟინოვი (თავ, მანჩესტერ სიტი), დუ პრადუ (ნახ, სპეცია).

**ჯენოა**

**მივიდნენ:** პეგოლო (მეკ, ვერონა), ბარასო (მეკ, ტარანტო), ბორიელო (თავ, მილანი), მაზიელო (მცვ, სიენა), პარო (ნახ, იუვენტუსი), პაპა ვაიგო (თავ, ჩეზენა), ბოვო (მცვ, პალერმო), ა. ლუკარელი (მცვ, სიენა).

**წავიდნენ**: კრიშიტო (მცვ, იუვენტუსი), კარობიო (ნახ, ალბინოლეფე), ფორესტიერი (თავ, სიენა).

**ინტერი**

**მივიდნენ:** სეზარ აპარესიდო (ნახ, ლივორნო), აკვაფრესკა (თავ, ტრევიზო), სუასო (თავ, კალიარი), ხიმენესი (ნახ, ლაციო), რივასი (მცვ, ინტერი), კივუ (მცვ, რომა).

**წავიდნენ**: მარკ გონსალესი (ნახ, პალერმო), რიბასი (თავ, ლივორნო), აკვაფრესკა (თავ, კალიარი), გროსო (მცვ, ლიონი), ბელაიდი (ნახ, სლავია პრაღა), კარინი (მეკ, მურსია), ანდრეოლი (მცვ, რომა).

**იუვენტუსი**

**მივიდნენ:** მოლინარო (მცვ, სიენა), გრიგერა (მცვ, აიაქსი ჰოლანდია), კრიშიტო (მცვ, ჯენოა), ნოჩერინო (ნახ, პიაჩენცა), სალიჰამიჯიჩი (ნახ, ბაიერნი), ტაკინარდი (ნახ, ვილიარეალი), მიკოლი (თავ, ბენფიკა), იაკუინტა (თავ, უდინეზე), გასტალდელო (მცვ, სიენა), ალმირონი (ნახ, ემპოლი), ტიაგო (ნახ, ლიონი), ოლივერა (ნახ, სამპდორია), ანდრადე (მცვ, დეპორტივო), რანიერი (მწვ).

**წავიდნენ**: ბალცარეტი (მცვ, ფიორენტინა), კოვაჩი (მცვ, ბორუსია დორტმუნდი), ტუდორი (მცვ, ჰაიდუკი ხორვატია), ბოჟინოვი (თავ, ფიორენტინა), ვოლპე (მცვ, ლივორნო), ვენიტუჩი (ნახ, ტრევიზო), პარო (მცვ, ჯენოა), კაპო (ნახ, ბირმინგემი), გასტალდელო (მცვ, სამპდორია), მირანტე (მეკ, სამპდორია), ვოლპატო (თავ, ემპოლი), ჯოვინკო (ნახ, ემპოლი), მიკოლი (თავ, პალერმო), დე ჩელიე (ნახ, სიენა), მანიერო (თავ, ასკოლი), ტაკინარდი (ნახ, კონტრაქტი დაუმთავრდა), ჯანიკედა (ნახ, ლივორნო), მარკიზიო (ნახ, ემპოლი), პიკოლო (მცვ, ემპოლი), ბეტეგა (ნახ, სიენა), ბლაზი (ნახ, ნაპოლი), სალაიეტა (თავ, ნაპოლი), დეშამი (მწვ).

**ლაციო**

**მივიდნენ:** კორალოვი (მცვ, ოფკ სერბეთი), ფოჯა (ნახ, რეჯინა), კუადრი (ნახ, სპეცია), კორეა (ნახ, ლუკეზე), დელ ნერო (ნახ, ბრეშა), სკალონი (მცვ, სანტანდერი), მეგნი (ნახ, ბოლონია).

**წავიდნენ**: პერუცი (მეკ, პენსია), სერენი (მეკ, ტორინო), ბონეტო (ნახ, ბოლონია), ფოჯა (ნახ, კალიარი), ხიმენესი (ნახ, ინტერი).

**ლივორნო**

**მივიდნენ:** მაცონი (მეკ, ლეკო), ლოვიზო (ნახ, ბოლონია), ე. ფილიპინი (ნახ, ბოლონია), რიბასი (თავ, ინტერი), როსინი (თავ, კატანია), დორასო (ნახ, პსჟ), ვოლპე (თავ, იუვენტუსი), ტავანო (თავ, ვალენსია), დე ლუჩია (მეკ, პარმა), პულცეტი (ნახ, ვერონა), დიეგო ტრისტანი (თავ, დეპორტივო), ჯანიკედა (ნახ, იუვენტუსი).

**წავიდნენ**: სეზარ აპარესიდო (ნახ, ინტერი), კუფური (მცვ, რომა), ფიორე (ნახ, ვალენსია), პფერტცელი (მცვ, ბოხუმი), პასონი (ნახ, მანტოვა), კ. კოპოლა (ნახ, მესინა), პაულინიო (თავ, გროსეტო), მორონე (ნახ, პარმა), კ. ლუკარელი (თავ, შახტარი).

**მილანი**

**მივიდნენ:** აბიატი (მეკ, ტორინო), დონატი (ნახ, ატალანტა), სამარკო (ნახ, კიევო), ანტონინი (ნახ, სიენა), ნოვინიჩი (თავ, ნაფტა სლოვენია), ბა (ნახ, ვარეზე), პატო (თავ, ინტერნასიონალი), ემერსონი (ნახ, რეალი).

**წავიდნენ**: კოსტაკურტა (მცვ, პენსია), აბატე (ნახ, ემპოლი), ბორიელო (თავ, ჯენოა), დონატი (ნახ, სელტიკი), აბიატი (მეკ, ატლეტიკო), სამარკო (ნახ, სამპდორია), დი ჯენარო (თავ, ბოლონია), დ. კოპოლა (მეკ, ატალანტა), გრიმი (მცვ, სიენა), ოლივეირა (თავ, სარაგოსა), სტორარი (მეკ, ლევანტე).

**ნაპოლი**

**მივიდნენ:** ლაკრიმინი (მცვ, ფროზინონე), ჯილიო (თავ, გალიპოლი), ჰამსიკი (ნახ, ბრეშა), ლავეცი (თავ, სან ლორენსო), გარგანო (ნახ, დანუბიო), კონტინი (ნახ, პარმა), ბლაზი (ნახ, იუვენტუსი), სალაიეტა (თავ, იუვენტუსი).

**წავიდნენ**: ჯუბილატო (მცვ, ვიჩენცა), ბუკი (თავ, სიენა), პია (თავ, ტრევიზო).

**პალერმო**

**მივიდნენ:** მილიაჩო (ნახ, ატალანტა), უიკანი (მეკ, ანდერლეხტი), მუნარი (მცვ, ვერონა), იანკოვიჩი (ნახ, მალიორკა), მიკოლი (თავ, იუვენტუსი), გონსალესი (ნახ, ინტერი), ბოვო (მცვ, ტორინო), მატეინი (თავ, ემპოლი), რინაუდო (მცვ, სიენა), კოლანტუონო (მწვ, ატალანტა).

**წავიდნენ**: კორინი (ნახ, ტორინო), პარავიჩინი (ნახ, პარმა), კარაჩოლო (თავ, სამპდორია), მუნარი (მცვ, ლეჩე), კურიალე (თავ, სამბენედეტეზე), დი მიკელე (თავ, ტორინო), ბოვო (მცვ, ჯენოა), გონსალესი (თავ, პორტუ), ტერლიცი (მცვ, კატანია), ჩარამიტარო (ნახ, კიევო), გვიდოლინი (მწვ).

**პარმა**

**მივიდნენ:** ფალკონე (მცვ, სამპდორია), მ. როსი (მცვ, მოდენა), სავი (ნახ, მონცა), პარავიჩინი (ნახ, პალერმო), რეჟინალდო (თავ, ფიორენტინა), მორონე (ნახ, ლივორნო), პავარინი (მეკ, სიენა), პეტრი (მეკ, ოსტრავა), დი კარლო (მწვ, მანტოვა).

**წავიდნენ**: გრელა (ნახ, ტორინო), მუსლიმოვიჩი (თავ, უდინეზე), ჯ. როსი (თავ, მანჩესტერ იუნ), დე ლუჩია (მეკ, ლივორნო), სავი (ნახ, არეცო), კუტუზოვი (თავ, პიზა), ბოლანო (ნახ, მოდენა), კონტინი (ნახ, ნაპოლი), რანიერი (მწვ, იუვენტუსი).

**რეჯინა**

**მივიდნენ:** პაბლო ალვარესი (მცვ, ნასიონალი ურუგვაი), მიგელ გარსია (მცვ, სპორტინგი ლისაბონი), იოლსონი (თავ, ალბინოლეფე), კაშონე (ნახ, რიმინი), კოლაკიონი (მცვ, პისტოიეზე), კერუბინი (მცვ, ჩიტადელა), კოვაშჩიკი (მეკ, ლაბდარუგო), კოცა (ნახ, რეჯინა), პეტინარი (ნახ, ფიორენტინა), ბარეტო (ნახ, ნიიმეგენი), ჰალფრედსონი (ნახ, ლინი ოსლო), ვალდესი (მცვ, ტრევიზო), ფიკადენტი (მწვ, ვერონა).

**წავიდნენ**: ჯაკ. ტედესკო (ნახ, კატანია), ფოჯა (ნახ, ლაციო), მისიროლი (ნახ, გროსეტო), მესტო (მცვ, უდინეზე), ბიანკი (თავ, მანჩესტერ სიტი), ამერინი (ნახ, ფროზინონე), მაძარი (მწვ, სამპდორია)

**რომა**

**მივიდნენ:** ალვარესი (ნახ, მესინა), ბრიგი (ნახ, კიევო), პიტი (ნახ, ბელინცონა შვეიცარია), ჟუანი (მცვ, ლევერკუზენი), კუფური (მცვ, ლივორნო), ბარუსო (ნახ, რიმინი), ესპოზიტო (თავ, კალიარი), მონტელა (თავ, ფულჰემი), გალოპა (ნახ, სიენა), მალიოკეტი (მცვ, ვერონა), ჟიული (თავ, ბარსელონა), ანდრეოლი (მცვ, ინტერი), სისინიო (მცვ, რეალი).

**წავიდნენ**: ვილჰელმსონი (ნახ, ბოლტონი), ტავანო (თავ, ვალენსია), მალიოკეტი (მცვ, კალიარი), ფატი (ნახ, ლევერკუზენი), ჩერჩი (ნახ, პიზა), მონტელა (თავ, სამპდორია), ოკაკა ჩუკა (თავ, მოდენა), ვირგა (ნახ, გროსეტო), კივუ (მცვ, ინტერი).

**სამპდორია**

**მივიდნენ:** ლუკინი (მცვ, ემპოლი), ბელუჩი (თავ, ბოლონია), კარაჩოლო (თავ, პალერმო), სამარკო (ნახ, მილანი), გასტალდელო (მცვ, იუვენტუსი), მირანტე (მეკ, იუვენტუსი), ციგლერი (ნახ, ტოტენჰემი), ანტონინი (ნახ, სიენა), კამპანიარო (მცვ, პიაჩენცა), მონტელა (თავ, სამპდორია), კასანო (თავ, რეალი), მაძარი (მწვ, რეჯინა).

**წავიდნენ**: ფალკონე (მცვ, პარმა), კვალიარელა (თავ, უდინეზე), ბაძანი (თავ, ბრეშა), ფლაკი (თავ, კონტრაქტი დაუმთავრდა), ნოველინო (მწვ, ტორინო).

**სიენა**

**მივიდნენ:** ელეფთეროპულოსი (მეკ, ასკოლი), იაროლიმი (ნახ, სლავია ჩეხეთი), კაეტანო (ნახ, ფიორენტინა), დე ჩელიე (ნახ, იუვენტუსი), გრიმი (მცვ, მილანი), ფიკანია (მცვ, ჩეზენა), ლორია (მცვ, ატალანტა), ბეტეგა (ნახ, იუვენტუსი), ფორესტიერი (თავ, ჯენოა), ბუკი (თავ, ნაპოლი), მანდორლინი (მწვ, პადოვა).

**წავიდნენ**: მოლინარო (მცვ, იუვენტუსი), გასტალდელო (მცვ, იუვენტუსი), ანტონინი (ნახ, ემპოლი), მაზიელო (მცვ, ჯენოა), რინაუდო (მცვ, პალერმო), გალოპა (ნახ, რომა), ერიომენკო (ნახ, უდინეზე), კოცა (ნახ, რეჯინა), ე. ბრევი (ნახ, ვენეცია), პავარინი (მეკ, პარმა), ა. ლუკარელი (მცვ, ჯენოა), ბერეტა (მწვ).

**ტორინო**

**მივიდნენ:** მალონგა (თავ, მონაკო), კორინი (ნახ, პალერმო), გრელა (ნახ, პარმა), ვენტოლა (თავ, ატალანტა), ბელანოვიჩი (თავ, ასკოლი), პ. ძანეტი (ნახ, ასკოლი), სერენი (მეკ, ლაციო), ნატალი (მცვ, უდინეზე), დი მიკელე (თავ, პალერმო), ლანა (მცვ, კიევო), ნოველინო (მწვ, სამპდორია).

**წავიდნენ**: გალო (ნახ, ნოვარა), ბოვო (მცვ, პალერმო), აბიატი (მეკ, მილანი), არდიტო (ნახ, ლეჩე), დე აშენტისი (ნახ, ატალანტა), ტაიბი (მეკ, ასკოლი), აბრუსკატო (თავ, ლეჩე), დე ბიაზი (მწვ).

**უდინეზე**

**მივიდნენ:** ჰანდაროვიჩი (მეკ, რიმინი), მიკოლუჩი (მცვ, ბარი), ინლერი (ნახ, ციურიხი), ფლორო ფლორესი (თავ, არეცო), კანდრევა (ნახ, ტერნანა), პეპე (თავ, კალიარი), კვალიარელა (თავ, სამპდორია), კიმენტი (მეკ, კალიარი), პაოლუჩი (თავ, იუვენტუსი), სანჩესი (თავ, კოლო კოლო), ერიომენკო (ნახ, სიენა), მესტო (მცვ, რეჯინა), ბუდიანსკი (ნახ, ასკოლი), მარინო (მწვ, კატანია).

**წავიდნენ**: მუნტარი (ნახ, პორტსმუთი), იაკუინტა (თავ, იუვენტუსი), ნატალი (მცვ, ტორინო), დე სანქტისი (მეკ, სევილია), სფორცინი (თავ, ვიჩენცა), ბარეტო (თავ, ტრევიზო), სურაკო (ნახ, მესინა), მალეზანი (მწვ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. I ტურის წინ

# ატლეტიკოსთან ჰაინცესა და რობენის გარეშე

**დღეს**

რეალი-ატლეტიკო
მურსია-სარაგოსა

**ხვალ**

სევილია-ხეტაფე
რასინგი-ბარსელონა
ბილბაო-ოსასუნა
დეპორტივო-ალმერია
მალიორკა-ლევანტე
რეკრეატივო-ბეტისი
ვალენსია-ვილიარეალი
ესპანიოლი-ვალიადოლიდი

ამ უქმეებზე ესპანეთის მორიგი ჩემპიონატი დაიწყება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გულშემატკივრებს პრიმერადივიზიონური თავგადასავლები ძალიან მოენატრათ. გასული სეზონის შემდეგ პირენეულ კლუბებში დიდი ცვლილებები მოხდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გრანდებზე ითქმის. მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა" მთელი პრეტემპორადის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდნენ იმისთვის, რომ შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაეძლიერებინათ და ახალ სეზონს მაქსიმალურად მომზადებულები შეხვედროდნენ. ფინანსური თვალსაზრისით, სამეფო კლუბმა ყველას აჯობა. **რამონ კალდერონმა** ტრანსფერებში 119 მილიონი ევრო დახარჯა, თუმცა სპეციალისტების საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ "ბარსელონამ" სატრანსფერო პოლიტიკა უფრო პრაგმატულად წარმართა და ბევრად ნაკლები თანხით გაცილებით უფრო მაღალი დონის მოთამაშეები დაიმატა. ბუნებრივია, მხოლოდ და მხოლოდ დრო გამოააშკარავებს, სწორად ვინ იმუშავა.

2007-08 წლების სეზონი ფანტასტიკური მატჩით იხსნება. პირველ შეხვედრას "რეალი" და "ატლეტიკო" გამართავენ. მადრიდულ დერბის "სანტიაგო ბერნაბეუ" უმასპინძლებს. სამეფო კლუბის გულშემატკივრებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ახალწვეულები, **გაბრიელ ჰაინცე** და **არიენ რობენი** შაბათს მოედანზე გავიდოდნენ, თუმცა გუშინ საღამოს **ბერნდ შუსტერმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ არგენტინელისა და ჰოლანდიელის დებიუტი მომდევნო ტურისთვის გადაიდო. მთავარმა მწვრთნელმა საამისო მიზეზად ერთი მარტივი გარემოება დაასახელა: გაბრიელი და არიენი ეს ესაა გუნდში ჩაირიცხნენ და ბუნებრივია, სათამაშო სქემის შესახებ მინიმალური წარმოდგენაც არ აქვთ. ჰერ შუსტერს კი გარისკვა არ სურს. მართლაც დაუშვებელია, რომ ორი კაცი საერთო სურათიდან ამოვარდნილი იყოს. მასპინძლებს მიკრო ტრავმების გამო შესაძლოა, **იკერ კასილიასი** და **სერხიო რამოსი** ვერ დაეხმარონ. **მიგელ ანხელ ტორესის** თამაში კი გამორიცხა. ექიმებმა მას კოჭის ტრავმის დიაგნოზი დაუსვეს და ვარჯიშიც კი აუკრძალეს. გაურკვეველი სიტუაციის მიუხედავად, შუსტერმა კასილიასი და რამოსი განაცხადში მაინც შეიყვანა. თუ გამოცდილი ესპანელი გოლკიპერი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, "რეალის" კარს **დუდეკი** დაიცავს. აღსანიშნავია, რომ ბატონმა ბერნდმა განაცხადში ერთბაშად ექვსი ფორვარდის გვარი ჩაწერა. **ბაპტიშტას, რობინიოს, რაულს, საviოლას, სოლდადოსა** და **ვან ნისტელროის** სერიოზული კონკურენციის გადალახვა მოუწევთ იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ.

ბუნებრივია, მადრიდული დერბისთვის "ატლეტიკოც" გამალებით ემზადებოდა. შესაძლოა, კურიოზულად ჩანდეს, მაგრამ ფაქტია, "როხიბლანკოს" კეთილდღეობა ახლა დიდ წილად იმ კაცზეა დამოკიდებული, რომელმაც გასულ სეზონში მადრიდის "რეალის" გაჩემპიონებაში სერიოზული როლი ითამაშა. რა თქმა უნდა, მიხვდით, საქმე **ხოსე ანტონიო რეიესს** შეეხება. ახლა ის, მხოლოდ და მხოლოდ, "ატლეტიკოზე" ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ სამეფო კლუბის დამარცხება შესაძლებელია: *"ჩემს ყოფილ გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს. ტრანსფერები გვიან გაიჩარხა, გუნდი ჯერაც დაუბალანსებელი და მოუმზადებელია. ჩვენ კი პრეტემპორადა ძალიან ნაყოფიერად ჩავატარეთ. უძლიერესი კოლექტივი გვყავს. თუ იღბალი ზურგს არ შეგვაქცევს, აუცილებლად გავიმარჯვებთ."*

ესპანეთის ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი, "ბარსელონა" ბატალიებში კვირას ჩაებმება. კატალონიური გრანდი გასვლით შეხვედრაში "რასინგს" დაუპირისპირდება. ამ მატჩის მომზადებისას "ბარსას" ბანაკში უჩვეულო რამ მოხდა. პარასკევის დილის ვარჯიში **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭებმა იმდენად მონდომებულად და ენერგიულად ჩაატარეს, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა საღამოს შეგირდები საერთოდ გაათავისუფლა და აღარ ავარჯიშა. ის დარწმუნებულია, რომ დილის ორსაათიანი წვრთნა საკმარისი იქნება სანტანდერელთა დასამარცხებლად. ახლა ყველას აინტერესებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პატივცემული რიიკაარდი შემადგენლობასთან დაკავშირებით. ოთხივე ძირითად შემადგენლობაში?! რა თქმა უნდა, მისახვედრია, რომ **ტიერი ანრიზე, სამუელ ეტოოზე, ლიონელ მესისა** და **რონალდინიოზეა** საუბარი. ერთი დღეც მოვითმინოთ და ვნახავთ, რა გადაწყვეტილება აქვს მიღებული კატალონიელთა ჰოლანდიელ თავკაცს.



არიენ რობენი რეალში ჩაირიცხა, მაგრამ მადრიდულ დერბიში არ ითამაშებს


დევიდ ბექჰემი

გალაქტიკო

# ბექჰემის კალენდარი გადატვირთულია

## ერთი კვირა თვითმფრინავში მომდევნო სამი თვის განმავლობაში...

"ლოს ანჯელეს გალაქსიმ" კალიფორნიული დერბი პირწმინდად წააგო. "ჩივას იუ ეს ეიმ" მას სამი უპასუხო გოლი გაუტანა. **დევიდ ბექჰემმა** 90 წუთი ითამაშა, მაგრამ მისი მოედანზე ყოფნა ვერაფერი ნუგეში აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს ბექჰემმა გერმანელებთანაც შეუცვლელად ისპარეზა. თამაშის დასრულებისთანავე ის თვითმფრინავში ჩაჯდა და ლოს ანჯელესში გადაფრინდა. თვითმფრინავის დაშვებიდან რამდენიმე საათში ის ისევ მოედანზე იყო. "გალაქსის" თავკაცმა **ფრენკ იალოპმა** აღიარა, ბოლო წუთებში დევიდი ძალიან გადაღლილი ჩანდა და მისი შეცვლა მინდოდა, მაგრამ თამაშის გაგრძელება მთხოვაო. მიმომხილველები ეჭვობენ, 32-ვეტერანმა ამხელა დატვირთვები აიტანოს. დადგება მომენტი, როცა "გალაქსი" იტყვის, რომ ბექჰემი ძალიან სჭირდება და ინგლისის ნაკრებში აღარ გაუშვებს. მომდევნო სამი თვის განმავლობაში კლუბსა და ნაკრებში მას 22 მატჩი (!), 80 ათასი კილომეტრის დაფარვა და დაახლოებით ერთი კვირის ჰაერში გატარება ელის. იგულისხმება თამაშები, რომელთაც ლოსანჯელესელები ფლეი ოფში გასვლის შემთხვევაში ჩაატარებს, აგრეთვე ჩრდილოეთი ამერიკის სუპერლიგისა (მექსიკისა და ამერიკის ერთიანი საფეხბურთო ლიგა) და ინგლისის ნაკრების დარჩენილი მატჩები. ბექზის კალენდარი განსაკუთრებით დატვირთული იქნება ოქტომბრის შუა რიცხვებში, ზუსტად იმ დროს, როცა ინგლისს რუსეთთან გადამწყვეტი თამაში ელის (17 ოქტომბერს). MLS-ის ფლეი ოფები კი ხორვატებთან თამაშის პერიოდს ემთხვევა. გერმანიასთან ოთხშაბათის მატჩი ფიფას კალენდარში იყო. თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე გაალწევს, მინიმუმ ხუთი ამხანაგური შეხვედრის ჩატარება არ ასცდება. ხუთივე თამაში ფიფას მიერ გამოყოფილ დღეებში ვერ იქნება. ესე იგი, "გალაქსის" უფლება ექნება, რომელიმე მათგანზე ფეხბურთელი არ გაუშვას.

კიდევ ერთი დეტალი: MLS-ის რეგლამენტში წერია, რომ კლუბებმა გასვლით მატჩებზე გამგზავრებისას კომერციული რეისებით უნდა ისარგებლონ. მათ ჩარტერული რეისების შეკვეთა ეკრძალებათ, იმიტომ, რომ მდიდარმა კლუბებმა ღარიბებთან შედარებით რაიმე უპირატესობა არ მოიპოვონ. კომერციული რეისების მოგზაურობას გაცილებით მეტი დრო და ენერგია მიაქვს. არ დაგვავიწყდეს, ნოემბერში "გალაქსი" სიდნეიში მიემგზავრება. კომერციული ტურნეს ერთ-ერთი უმთავრეის პირობა ისაა, რომ ლოს ანჯელესელებმა აუცილებლად უნდა ჩაიყვანონ ბექჰემი. "სიდნეი" საგანგებოდ ამ მატჩისთვის ერთმატჩიან კონტრაქტს უფორმებს **ზინედინ ზიდანს**. ზიზუ 90 წუთი თამაშისთვის დაახლოებით 300 ათას დოლარს მიიღებს.

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი 2007/08. ტრანსფერები

### რეალი

**მივიდნენ:** სოლდადო (ოსასუნა), ბალბოა (რასინგი), მეცელდერი (დორტმუნდი), ჟულიო ბაპტიშტა (არსენალი), პეპე (პორტუ), დუდეკი (ლივერპული), სავიოლა (ბარსელონა), შორხი (ჰერტა), დრენტე (ფეიენოორდი), სნეიდერი (აიაქსი), რობენი (ჩელსი), ჰაინცე (მანჩესტერ იუნაიტედი).

**წავიდნენ:** რობერტო კარლოსი (ფენერბაჰჩე), ბექჰემი (ლოს ანჯელესი), დიეგო ლოპესი (ვილიარეალი), მინიამბრესი (ერკულესი), პავონი (სარაგოსა), რაულ ბრავო (ოლიმპიაკოსი), პაბლო გარსია (მურსია), მეხია (მურსია), ივან ელგერა (ვალენსია), რეიესი (ატლეტიკო), კასანო (სამპდორია), ემერსონი (მილანი), სისინიო (რომა).

### ბარსელონა

**მივიდნენ:** ანრი (ბარსელონა), ტურე (მონაკო), აბიდალი (ლიონი), გაბი მილიტო (სარაგოსა);

**წავიდნენ:** ვან ბრონკჰორსტი (ფეიენოორდი), სავიოლა (რეალი), ჟიული (რომა), მაქსი ლოპესი (მოსკოვი), ბელეტი (ჩელსი).

### ვილიარეალი

**მივიდნენ:** ვიდანგოსი (უნიონი), კასერესი (დეფენსორი), კაპდევილა (დეპორტივო), დიეგო ლოპესი (რეალი), რიო მავუბა (ბორდო), კასორლა (რეკრეატივო), ტომასონი (შტუტგარტი), როსი (მანჩესტერ იუნ);

**წავიდნენ:** ტაკინარდი, კიკე ალვარესი (რეკრეატივო), არუაბარენა (აეკ), არსო (მურსია), ფორლანი (ატლეტიკო), პენია (სელტა), მარკოსი (რეკრეატივო), კასერესი (რეკრეატივო), ლოპეს ვალიეხო (სარაგოსა), ხოსე ენრიკე (ნიუკასლი), სომოსა (ბეტისი), ბარბოსა (რეკრეატივო).

### სევილია

**მივიდნენ:** დე მული (აიაქსი), ბულარუზი (ჩელსი), დე სანქტისი (უდინეზე), კეიტა (ლანსი), მოსკერა (პაჩუკა);

**წავიდნენ:** დავიდი (ლევანტე), კეპა (ხეტაფე), აიტორ ოსიო (ბილბაო), კობენიო (ალმერია).

### ატლეტიკო

**მივიდნენ:** რაულ გარსია (ოსასუნა), დიეგო კოშტა (ბრაგა), აბიატი (მილანი), ლუის გარსია (ლივერპული), ფორლანი (ვილიარეალი), კლებერ სანტანა (სანტოსი), სიმაო (ბენფიკა), რეიესი (რეალი);

**წავიდნენ:** ფერნანდო ტორესი (ლივერპული), გაბი (სარაგოსა), გალეტი (ოლიმპიაკოსი), მოლინერო (მალიორკა), პეტროვი (მანჩესტერ სიტი), პიჩუ (ეიბარი), მარიო სუარესი (სელტა), კოშტინია (ატალანტა).

### ვალენსია

**მივიდნენ:** არისმენდი (დეპორტივო), მატა (კასტილია), ალექსისი (ხეტაფე), ჰილდებრანდი (შტუტგარტი), სანი (ეხიდო), ივან ელგერა (რეალი), ჟიგიჩი (რასინგი);

**წავიდნენ:** პალარდო (ხეტაფე), ხორხე ლოპესი (რასინგი), აიალა (სარაგოსა), ტავანო (ლივორნო), რეგეირო (მურსია), უგო ვიანა (ოსასუნა), ბუტელი (ვალიადოლიდი), დავიდ ნავარო (მალიორკა), აარონი (ხერესი).

### ალმერია

**მივიდნენ:** ორტისი (ეხიდო), ფელიპე მელო (რასინგი), ლოპეს რეკარტე (სოსიედადი), ნატალიო (კასტელონი), კორონა (სარაგოსა), დიმაში (ბარსელონა), ნეგრედო (რეალი B), პულიდო (ხეტაფე), კობენიო (სევილია), ხუანიტო (სოსიედადი), დიეგო (ატ. მინეირო), ხულიო დოს სანტოსი (ბაიერნი);

**წავიდნენ:** ბერმეხო (ეხიდო), ბერმუდო, პედრო მაირატა, მარკ ფრანკოლი, ვესტერველდი, ვალერიო, დე პალმასი (ელჩე), როდრი (დეპორტივო), მენა (ალავესი), ლარეა (სოსიედადი), მოლო (ვილიარეალი).

### ბილბაო

**მივიდნენ:** დავიდ ლოპესი (ოსასუნა), მუნიოსი (ოსასუნა), აიტორ ოსიო (სევილია), დავიდ კუელარი (ხიმნასტიკი), გორკა ირაისოსი (ესპანიოლი);

**წავიდნენ:** ურსაისი (აიაქსი), ხავი გონსალესი (ერკულესი), იტურიაგა (სალამანკა), ლაფუენტე (ესპანიოლი), სარიეგი (პანათინაიკოსი).

### ბეტისი

**მივიდნენ:** მარკ გონსალესი (ლივერპული), ბაბიჩი (ლევერკუზენი), პავონე (ესტუდიანტესი), რიკარდო (სპორტინგი ლ.), ლიმა (ატ. მინეირო), სომოსა (ვილიარეალი);

**წავიდნენ:** რომერო, რობერტი (ეინდჰოვენი), დანი (კადისი), კონტრერასი (კადისი), მალდონადო (ხიმნასტიკი), ხუანლუ (კორდობა), ლემბო (დანუბიო), ასუნსაო (ალ-აჰლი).

### მალიორკა

**მივიდნენ:** ვალერო (კასტილია), ლუქსი (რივერ პლეიტი), ვებო (ოსასუნა), მოლინერო (ატლეტიკო), დავიდ ნავარო (ვალენსია), გუისა (ხეტაფე), გონსალო კასტრო (ნასიონალი);

**წავიდნენ:** პრატსი, დიეგო ტრისტანი (ლივორნო), მაქსი ლოპესი (ბარსელონა), იანკოვიჩი (პალერმო), ხორდი ლოპესი (რასინგი), დელიბაშიჩი (სოსიედადი).

### დეპორტივო

**მივიდნენ:** პაბლო ამო (რეკრეატივო), რუბენ კასტრო (ხიმნასტიკი), ჩისკო (ვესინდარიო), ანტონიო ტომასი (რასინგი), მომო (რასინგი), გუარდადო (ატლასი), მანუ (სპორტინგი ხ.), ლაფიტა (სარაგოსა), აიტამი (ლას პალმასი), ფილიპე (რენტისტასი), ხაირო (სპორტინგი ხ.);

**წავიდნენ:** კაპდევილა (ვილიარეალი), დუშერი (რასინგი), ხუანმა (ტენერიფე), არისმენდი (ვალენსია), ესტოიანოფი (ვალიადოლიდი), ჟორჟე ანდრადე (იუვენტუსი), იაგო (ელჩე).

### ლევანტე

**მივიდნენ:** სავიო (სოსიედადი), დავიდი (სევილია), გეიხო (ხერესი), ვიკეირა (რეკრეატივო), კუიოვიჩი (როდა), ჩირილო (აეკ), არველაძე (ალკმაარი), რობუსტე (ესპანიოლი), პედრო ლეონი (მურსია), ხავი ფუეგო (სპორტინგი ხ.), სტორარი (მილანი);

**წავიდნენ:** ზე მარია, დეუ, მოლინა, სალვა (მალაგა), კაპო, ნ'დიაიე (ტენერიფე), დიეგო კამაჩო (ვალიადოლიდი), რეჯი (კასტელონი), კარმელო (ნუმანსია), ალექსისი (ვალიადოლიდი).

### ესპანიოლი

**მივიდნენ:** კიკო კასილა (რეალი C), ვალდო (ოსასუნა), კლემენტე როდრიგესი (სპარტაკი), ლოლა (პარტიზანი), ლაფუენტე (ბილბაო);

**წავიდნენ:** ველასკო, რობუსტე (ლევანტე), პანდიანი (ოსასუნა), კოშტა (გრემიო), იტო (კორდობა), გორკა ირაისოსი (ბილბაო), სერხიო სანჩესი (რასინგი).

### ხეტაფე

**მივიდნენ:** პალარდო (ვალენსია), უჩე (რეკრეატივო), მარიო (რეკრეატივო), პაბლო ერნანდესი (კადისი), დანიელ დიასი (ბოკა ხუნიორსი), კეპა (სევილია), უსტარი (ინდეპენდიენტე), სინიორინო (ნანტი);

**წავიდნენ:** ალექსისი (ვალენსია), პარედესი (სარაგოსა), ვერპაკოვსკისი (დინამო კ.), პულიდო (ალმერია), პაჩონი (რაიო ვალეკანო), ვივარ დორადო (ვალიადოლიდი), გუისა (მალიორკა).

### მურსია

**მივიდნენ:** ინიგო (ეიბარი), არსო (რეკრეატივო), დე ლუკასი (ალავესი), გოიტომი (უდინეზე), რეგეირო (ვალენსია), კარინი (ინტერი), პაბლო გარსია (რეალი), მეხია (რეალი), კურო ტორესი (ვალენსია), ბაიანო (სელტა);

**წავიდნენ:** ხუანმი, ემერსონი, კაპი, ლედო, არანდა, კარერა, პაბლო რუისი, ანტონიტო, პედრო ლეონი (ლევანტე), რამონ გონსალესი (ხერესი).

### ოსასუნა

**მივიდნენ:** მარგაირასი (ციურიხი), უგო ვიანა (ვალენსია), პორტილიო (ხიმნასტიკი), პანდიანი (ესპანიოლი), კარლოს ველა (არსენალი), მედინა (უნივერსიდად ჩილე), დადი (ბელენენსეში);

**წავიდნენ:** სოლდადო (რეალი), რაულ გარსია (ატლეტიკო), მუნიოსი (ბილბაო), ვალდო (ესპანიოლი), მილოშევიჩი, დავიდ ლოპესი (ბილბაო), კუელარი (რეინჯერსი), ფ. მორენო (ალბასეტე), ვებო (მალიორკა), მიკელ არუაბარენა (ტენერიფე).

### რასინგი

**მივიდნენ:** ჯონათან ვალე (მალაგა), აიოსე (სიუდადი), სამუელი (სპორტინგი ხ.), ტრევი, დუშერი (დეპორტივო), ხორხე ლოპესი (ვალენსია), ხორდი ლოპესი (მალიორკა), სერხიო სანჩესი (ესპანიოლი), დე მუნერი (არგ. ხუნიორსი);

**წავიდნენ:** მატაბუენა, ალფარო (დაასრულა კარიერა), ბალბოა (რეალი), სკალონი (ლაციო), ფელიპე მელო (ალმერია), ანტონიო ტომასი (დეპორტივო), მომო (დეპორტივო), რუბენი (სელტა), ჟიგიჩი (ვალენსია), ვიტოლო (სელტა).

### რეკრეატივო

**მივიდნენ:** ვარელა (სპორტინგი ხ.), მარტინსი (სპორტინგი ხ.), კამუნასი (ხერესი), ბეტო (ბორდო), სორენტინო (აეკ), კიკე ალვარესი (ვილიარეალი), მარკოსი (ვილიარეალი), კასერესი (ვილიარეალი), პამპა კალვო (ბოკა ხუნიორსი), ბარბოსა (ვილიარეალი);

**წავიდნენ:** პაბლო ამო (დეპორტივო), უჩე (ხეტაფე), მარიო (ხეტაფე), ვიკეირა (ლევანტე), არსო (მურსია), კასორლა (ვილიარეალი), გერერო, მერინო, ჩელი, ლაკე.

### ვალიადოლიდი

**მივიდნენ:** სისი (ვალენსია), ბუტელი (ვალენსია), ალბერტო, ვივარ დორადო (ხეტაფე), ესტოიანოფი (დეპორტივო), დიეგო კამაჩო (ლევანტე), ოგბეჩე (ალავესი), სესმა (კადისი), სიფუენტესი (სოსიედადი), ალექსისი (ლევანტე);

**წავიდნენ:** ჩემა, დე ლა კუესტა, გონსალო ვისენტე, მარიო სუარესი, ტოჩე, მანჩევი.

### სარაგოსა

**მივიდნენ:** გაბი (ატლეტიკო), პარედესი (ხეტაფე), რიკარდო ოლივეირა (მილანი), ხენერელო (ხიმნასტიკი), აიალა (ვილიარეალი), პავონი (რეალი), მათუსალემი (შახტარი), ლოპეს ვალიეხო (ვილიარეალი);

**წავიდნენ:** პიკე (მანჩესტერ იუნ), სესარ ხიმენესი (დაასრულა კარიერა), კორონა (სარაგოსა), არანსაბალი, ევერტონი (შტუტგარტი), გაბი მილიტო (ბარსელონა), ლაფიტა (დეპორტივო), ლონგასი (ტენერიფე).

მწვრთნელი

# კლინსმანს დაბრუნება უნდა!

## სად იმუშავებს იურგენი?

მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღწეული შედეგისთვის (მესამე ადგილი), გერმანიამ **იურგენ კლინსმანი** ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, როგორც გახსოვთ, კლინსი ამ ორდენის მისაღებად გერმანიაში არ ჩასულა - შესაბამისად, ფოსტით გაუგზავნეს. საერთოდ, იურგენი კალიფორნიას იშვიათად ტოვებს ხოლმე და ამიტომაც იყო გასაკვირი, რომ გუშინწინ, ბუნდესგუნდის ექსდამრიგებელი ლონდონში ჩავიდა და ინგლის-გერმანიის ამხანაგურ მატჩს დაესწრო. მანამდე კი, კლინსმანი ორი საათის განმავლობაში ესაუბრა **იოახიმ ლიოვს**. რა თქმა უნდა, ფეხბურთზე.

ამ ვიზიტის შემდეგ, უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კლინსის დიდ ფეხბურთში დაბრუნება უნდა, თანაც, ძალიან. *"დიახ, მწვრთნელობა მომენატრა და თუ ყოველმხრივ მისაღებ შემოთავაზებას ექნება ადგილი, აუცილებლად დავთანხმდები,"* - განუცხადა კლინსმანმა "ბილდს". სად უნდა იმუშაოს იურგენმა?

ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ დიდი შანსია, კლინსიმ პრემიერლიგას მიაშუროს. ინგლისური გამოცემები ხომ დიდი ხანია სპეკულირებენ, კლინსმანი "ტოტენჰემს" ჩაუდგება სათავეშიო - **მარტინ იოლი** გათავისუფლების ნომერ პირველი კანდიდატია. მაგრამ "ტოტენჰემი" არ არის გრანდი, კლინსმანს კი ისეთ გუნდში მუშაობა სურს, რომელსაც დიდი ამბიციები ექნება. "ჩელსის" ბოსმა **პიტერ კენიონმა** მასთან ერთხელ უკვე აწარმოა მოლაპარაკებები და გერმანელს ლონდონური კლუბის სპორტული დირექტორის პოსტი შესთავაზა. არის "არსენალის" ვარიანტიც, რადგან "მეთოფეებში" **არსენ ვენგერის** მომავალი ჯერჯერობით, გაურკვეველია. ცნობილია, რომ ინგლისის დედაქალაქი იურგენს ძალიან იზიდავს.

შანსი იმისა, რომ კლინსი ბუნდესლიგაში დასაქმდეს, ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, სულ რაღაც 5 პროცენტია. თუ იურგენი რომელიმე გერმანულ კლუბს ჩაიბარებს, მხოლოდ "ბაიერნსო", წერს "ბილდი". რეკორდმაისტერის ამჟამინდელ თავკაც **ოტმარ ჰიტცფელდს** კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და როგორც "გენერალმა" ამ ხელშეკრულების გაფორმების დროს აღნიშნა, ეს მისი ბოლო კონტრაქტი იქნება მიუნხენურ კლუბში. შესთავაზებენ კი კლინსმანს "ბაიერნს"? ცნობილია, რომ ბავარიული გრანდის გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** ის გულზე არ ეხატება.

ყველაზე უფრო რეალური კი ის გახლავთ, რომ იურგენმა რომელიმე ნაკრები გაწვრთნას. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი** დარწმუნებულია, რომ 2010 წლის მუნდიალზე კლინსმანი რომელიმე გუნდის თავკაცი იქნება.



იურგენ კლინსმანი

კლინსის აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი თითქმის გაფორმებული ჰქონდა, მაგრამ გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. მისი გადაბირება მექსიკელებსაც სურდათ, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. რაკი ინგლისის ნაკრებში **სტივ მაკლარენიც** მერყევი ფიგურაა, გამორიცხული არ არის, რომ ეს პოსტი კლინსმანსაც შესთავაზონ. არის კიდევ ერთი ვარიანტი და კერძოდ ის, რომ იურგენს ლოს ანჯელეს "გალაქსის" გაწვრთნა შესთავაზონ, მაგრამ ეს ვარიანტი თითქმის გამორიცხულია, რადგან გერმანელს გაცილებით სერიოზული გეგმები აქვს...

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგი ფიქრობს: ადრიანო, თუ ბერბატოვი?

ჭირვეულმა **ადრიანომ** ინტერელებს თავი მოაბეზრა. მან კარიერა შეიძლება "რეალში" ან "მანჩესტერ იუნაიტედში" გააგრძელოს, გვამცნობს "ტრიბალფუტბოლი". როგორც ჩანს, შუამავლების მეშვეობით "ინტერი" მის დაუყოვნებლივ გასხვისებას ცდილობს. სულაც არაა შემთხვევითი, რომ "რომასთან" სუპერთასის მატჩზე ბრაზილიელი ტრიბუნაზე იჯდა. როგორც საიტი გვამცნობს, მოლაპარაკებები მადრიდელებსა და მილანელებს შორის ორშაბათიდან მიმდინარეობს.

რაც შეეხება სერ **ალექს ფერგიუსონის** დაინტერესებას. ყველამ იცის, რომ **რუნიმ** სერიოზული ტრავმა მიიღო, **სმიტი** "ნიუკასლში" გაიყიდა, ასე რომ, "ალისფერი ეშმაკები" ერთადერთი **ტევესის** იმედადღა რჩებიან. რაც ამბიციური მანკუნიანელებისთვის ობიექტური მიზეზია იმისა, რათა ახალი, მაღალი დონის ფორვარდი ეძებონ. ამავე თემას ეხება "დეილი სტარი", ვინც გვაუწყებს, რომ "მანჩესტერი" **დიმიტარ ბერბატოვითაა** დაინტერესებული. ჩემპიონებმა საკომპენსაციო თანხად 21 მილიონი გირვანქა გაამზადეს, მაშინ, როცა ლონდონელები 19 მილიონით მეტს ითხოვენ, რაც ერთობ არარეალურია. თავად ბულგარელი აღფრთოვანებულია ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივით.

ფერგისთან საკუთარ მომავალზე დალაპარაკებას აპირებს შოტლანდიელი **დარენ ფლეტჩერი**. 23 წლის ნახევარმცველი წლეულს სასტარტო შემადგენლობაში საერთოდ არ გამოჩენილა, ხოლო ქალაქურ დერბიში "სიტის" წინააღმდეგ განაცხადშიც კი ვერ მოხვდა. ამაყი შოტლანდიელი ამას ვერ ეგუება და სურს, თანაგუნდელი ალან სმიტის გზას გაუყვეს და "ნიუკასლში" გადაბარგდეს.

## კოული სანდერლენდში, კუფური?

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფორვარდი **ენდი კოული** კარიერის მიწურულს სათამაშოდ ყოფილი თანაგუნდელისა და კაპიტნის გაწვრთნილ "სანდერლენდში" გადავიდა. უკანასკნელი წელიწადი მან "პორტსმუთში" გაატარა და კლუბი როგორც თავისუფალმა აგენტმა ისე დატოვა. მან კარიერის ყველაზე წარმატებული პერიოდი **ფერგის** ხელმძღვანელობით გაატარა, გარდა ამისა "არსენალში", "ფულჰემში", "ბრისტოლში", "ნიუკასლში", "ბლექბერნში", "მანჩესტერ სიტიში", "პორტსმუთსა" და "ბირმინგემში" უთამაშია. ენდი პრემიერლიგის ყველა დროის ბომბარდირებში ლეგენდარული **ალან შირერის** შემდეგ 188 გოლით მეორე ადგილზე იმყოფება.

აქვე გაგაცნობთ მეორე ინფორმაციასაც: გუნდში ტესტირებაზეა მიუნხენის "ბაიერნის", "ნიურნბერგის", "რომასა" და "ლივორნოს" ყოფილი ცენტრალური მცველი, 31 წლის **სამუელ კუფური**. *"სამუელი ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. ჩვენ მას ყურადღებით ვაკვირდებით, თუმცა კონტრაქტის გაფორმებას არ ვჩქარობთ,"* - განაცხადა **როი კინმა**. შევნიშნოთ, რომ ეს ორივე ფეხბურთელი 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ეპიკური ფინალის მონაწილე იყო.

## უარი მენდიეტას

"მიდლსბრო" მეტად აღარ საჭიროებს **გაისკა მენდიეტას** სამსახურს. არადა, რამდეინიმე დღის წინათ თავად ესპანელმა განაცხადა, რომ მზად იყო, ებრძოლა ადგილისთვის გუნდის ძირითადში. *"ძალიან მოხარულები ვიყავით, როდესაც გაისკას ეს სიტყვები მოვისმინეთ. მადლობლები ვართ ყველაფრისთვის, რაც კი მას "რივერსაიდზე" გაუკეთებია, თუმცა ჩვენ მას უკვე ვაცნობეთ, რომ ჩვენს კლუბში პერსპექტივა აღარ აქვს. პირობას ვიძლევით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა მას იმ დონის კლუბი მოვუნახოთ, რასაც ის იმსახურებს,"* - განუცხადა სააგენტო AFP-ს კლუბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. **გარეთ საუტგეითის** კლუბი მზადაა, "ჰერენვენს" ბრაზილიელი **აფონსო ალვეშის** სანაცვლოდ 6,5 მილიონი ფუნტი გადაუხადოს, გვამცნობს "ტრიბალფუტბოლი". სამწვრთნელო შტაბის გათვლით, ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი "ევერტონში" გაყიდული ნიგერიელი **იაკუბუ აიგბენის** შემცვლელად უნდა იქცეს.



ანდრეი შევჩენკო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შევჩენკო იჯარით დინამოში?

## სურკისი თანახმაა, მას ასტრონომიული ხელფასი უხადოს...

კიევის "დინამოს" **ანდრეი შევჩენკოსთან** საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურს. უკრაინული გრანდის პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** ეს განცხადება უკრაინა-უზბეკეთის მატჩის (2:1) შემდეგ გააკეთა. შევას ახალ სეზონში "ჩელსის" შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია. ის ზურგის ტრავმას იშუშებს. 30 წლის თავდამსხმელი მილანიდან ლონდონში გასულ ზაფხულს, 30 მილიონ გირვანქად გადავიდა. ის პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია, მაგრამ გასულ სეზონში ინგლისის ჩემპიონატში მხოლოდ 4 გოლი შეაგდო. აი, სურკისის კომენტარი: *"ანდრეის უკვე ველაპარაკე. ვუთხარი, დაელაპარაკოს დირექტორატს და კიევში დაბრუნების უფლება ითხოვოს. მზად ვარ, კონტრაქტი გავუფორმო. მას ძალიან მაღალი ანაზღაურება აქვს, მაგრამ ამ ფულსაც გადავიხდი. ერთადერთი, რასაც ვერ გადავიხდით, ის 30 მილიონია, რომელიც აბრამოვიჩმა მილანელებს მიუთვალა."* მოგეხსენებათ, შევამ კარიერა კიევში დაიწყო და პირველი აღიარებაც "დინამოში" თამაშისას მოიპოვა. გასულ იანვარს "მილანმა" ფეხბურთელის დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** თქვა, რომ უკრაინელის სანაცვლოდ ძალიან დიდი თანხა მოსთხოვეს.

მილანი

# ემერსონმა რეალს ნამუსი არ შეუნახა

"მილანში" წასვლის შემდეგ **ემერსონმა** ესპანელი ჟურნალისტებისთვის დრო გამონახა და "რადიო მარკას" საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მისცა. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა პირენეელებთან სამეფო კლუბში არსებულ სიტუაციასა და მისი წასვლის მთავარ მიზეზზე ისაუბრა: *"ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არაერთ გუნდში მითამაშია, მაგრამ არსად შევხვედრივარ ისეთ ატმოსფეროს, როგორიც მადრიდის "რეალშია". ამ კლუბში ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელობას შორის გადაულახავი დისტანციაა. ისინი ერთმანეთისგან ძალიან შორს დგანან. ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრა და დაპაპარაკება უფრო იოლი იქნება, ვიდრე რამონ კალდერონთან გასაუბრება. არადა, სადაც არ მითამაშია, საჭიროებისას კლუბის ხელმძღვანელების უდიდეს დახმარებას ვიღებდი. ეს ყველაფერი ძალიან მაკვირვებდა, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. თავიდან ბოლომდე ჩემს საქმეში ვიყავი ჩაფლული. გული მტკიოდა, რომ პრობლემებზე სასაუბროდ კალდერონთან და მიატოვიჩთან შეხვედრას ვერ ვახერხებდი. როცა საამისო სურვილს გამოვთქვამდი, დაბალი ეშელონის ჩინოსნები ისე მიყურებდნენ, როგორც გიჟს. მიუხედავად ყველაფრისა, უკან არაფერზე ვიხევდი და თავდაუზოგავად ვმუშაობდი. წასვლაზე არც კი ვფიქრობდი. დარწმუნებული ვარ, ფაბიო კაპელო გუნდში რომ დარჩენილიყო, ახლაც "რეალის" ფეხბურთელი ვიქნებოდი. ჩემთვის ძალიან გაუგებარია, რატომ გაათავისუფლეს კაპელო. ამ კაცმა პრობლემებით დახუნძლული გუნდი ჩაიბარა და პირველივე სეზონში ესპანეთის ჩემპიონის ნანატრი ტიტული მოიპოვა. რა გაეწყობა, "რეალი" ყველასგან განსხვავებული, უცნაური ღირებულებების მქონე გუნდია."*

ინტერვიუს დასასრულს, ჟურნალისტებმა ერთი ძველი ამბავი გაიხსენეს. მოარული ხმების თანახმად, "ბაიერნთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ემერსონმა მოედანზე გასვლისგან თავი შეიკავა და არ ითამაშა. ბრაზილიელმა ეს ფაქტი არა მისი ჭირვეულობით, არამედ **ფაბიო კაპელოს** გადაწყვეტილებით ახსნა: *"მე აბსოლუტურად არაფერ შუაში ვიყავი. კაპელომ მითხრა, რომ გულშემატკივრები ჩემს მიმართ მეტისმეტად აგრესიულად იყვნენ განწყობილები და მათი უარყოფითი რეაქცია წნეხში მომაქცევდა. მირჩია, პაუზა ამეღო და იმ დღეს მოედანზე არ გავსულიყავი. მწვრთნელის მითითებას რა თქმა უნდა, ულაპარაკოდ დავემორჩილე."*



ემერსონი

ვილიარეალი

# რიკელმე ბოკაში უხელფასოდ ითამაშებს

გუშინ, **ხუან რომან რიკელმემ** მოულოდნელი განცხადება გააკეთა. ის მზადაა, სერიოზული მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ "ვილიარეალს" თავი დააღწიოს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, რომანის სიტყვებს სტილის დაცვით შემოგთავაზებთ: *"ვილიარეალთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ყველამ იცის, რომ ამ გუნდის სახელის გაგონებაც აღარ მსურს. საქმე ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შეეხება. გულშემატკივრების დიდი ნაწილის მიმართ კი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მოკლედ, "ვილიარეალში" თამაში, რა თქმა უნდა, არ მინდა. ამიტომ, გუშინ "ბოკა ხუნიორსის" მესვეურებს ვესაუბრე. მათ პირდაპირ ვუთხარი, თუ კონტრაქტს ახლავე გამოისყიდით, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში "ბოკაში" სრულიად უსასყიდლოდ, ხელფასის გარეშე ვითამაშებ-მეთქი. ვიცი, რომ ბაირესელებს ჰაერივით ვჭირდები, თუმცა სატრანსფერო თანხა და ხელფასისთვის აუცილებელი ფული ამ გუნდს მეტისმეტად მძიმე ტვირთად აწვება. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "ბოკა ხუნიორსის" შეფებს ფრიად საინტერესო წინადადება შევთავაზე. ისინი შემპირდნენ, რომ "ვილიარეალთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებს დაიწყებენ. თუ მხარეები შეთანხმდებიან, ერთ დღეში "ბოკა ხუნიორსის" მაისურს მოვირგებ."*

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ყველას ესპანური კლუბის პრეზიდენტის პოზიციის გაგება აინტერესებდა. აღმოჩნდა, რომ **ფრანსისკო როიგი** მეტისმეტად პრაგმატული ადამიანია: *"ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ განვაცხადეთ, რომ რიკელმეს საიჯარო ხელშეკრულებით აღარსად გავუშვებდით. რა გამოდის, კონტრაქტის ვადა ნელ-ნელა იწურება და ბოლოს ფეხბურთელი საკომპენსაციო თანხის გარეშე დავკარგოთ?! რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს "ბოკასადმი" პატივისცემა, ამ ნაბიჯს არ გადავდგავთ. სამაგიეროდ, მზად ვართ, სატრანსფერო უფლებების მთლიანად გამოსყიდვაზე ვიმსჯელოთ. თუ არგენტინელები ჩვენთვის მისაღებ თანხას გადაგვიხდიან, რიკელმეს სიამოვნებით გავყიდით."*

სამწუხაროდ, სენიორ როიგმა მის მიერ დასახელებული სატრანსფერო თანხის რაოდენობის საჯაროდ დასახელება არ ისურვა. პრეზიდენტმა დასძინა, რომ ამის შესახებ უშუალოდ ოკეანისგაღმელ კოლეგებს მოახსენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. დღეს, 19:00. საქართველო-ავსტრია. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი




ნუგზარ სუარძის ფოტო

# ზაზა ფაჩულია:
# მოდით, მხარდაჭერა გვჭირდება!

პირველი გვერდიდან

- ჯონსს მატჩისას ისე შევხვდი, როგორც დანარჩენ ლუქსემბურგელებს. ჩვენი ჩხუბის შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა, მას მერე 90 თამაში ჩავატარე და მასთან მომხდარი უსიამოვნება აღარც მახსოვდა. მატჩისას ის თავის საქმეს აკეთებდა, მე - ჩემსას. შეიძლება ითქვას, შარშანდელი ჩხუბის შემდეგ ჭკუა ვისწავლე, მესმის, რომ ჩემი დისკვალიფიკაცია ნაკრებს ძვირი დაუჯდება და ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ ემოციები მოვთოკო და ათასგვარ პროვოკაციას ყურადღება არ მივაქციო. წინა წელს ხომ ფიბამ ბოლო გაფრთხილება მომცა.

**- უშუალოდ ლუქსემბურგთან მატჩზე რას იტყვი?**

- მათ 4 წელიწადია, ერთი შეხვედრაც არ მოუგიათ. ეს თავისთავად ლუქსემბურგელთა სისუსტეზე მიუთითებს. ჩვენ კი A დივიზიონში თამაშის პრეტენზია გვაქვს და წინასწარ ცხადი იყო, რომ შინ ორი ქულით დავბრუნდებოდით.

**- ნაკრები როგორ ფორმაშია?**

- კარგ კონდიციებში ვართ და ვეცდებით შესაძლებლობების მაქსიმუმი ვუჩვენოთ. საერთოდ, ყოველთვის ძლიერი ნაკრები გვყავს, ვსაუბრობთ მის ელიტური, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. ქართული ხასიათი სწორედ აქ ვლინდება - მეტისმეტად ოპტიმისტური საუბარი გვიყვარს, მაგრამ რომ ვამბობთ ძლიერები ვართო, ეს საქმითაც უნდა დავამტკიცოთ. ახლა სწორედ ამ გზაზე ვართ, ვიმედოვნებ, სიტყვას საქმეც შესაფერისი მოჰყვება და A დივიზიონის საგზურს მოვიპოვებთ.

**- საკვალიფიკაციო ეტაპი ვლადიმერ ბოისასა და ნიკა ცქიტიშვილის გარეშე დაიწყეთ...**

- ბოისასა და ცქიტოსნაირი მოთამაშეები ბევრს არ ჰყავს, დიდ ძალას წარმოადგენენ, მით უმეტეს საქართველოს ნაკრებისთვის. თუმცაღა, წინასასეზონო შეკრებისას მწვრთნელი მაქსიმალურად ცდილობდა, მათი არყოფნა არ დაგვეტყობოდა. მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ერთმანეთს კარგად ენაცვლებოდნენ ვიქტორ სანიკიძე, ვატო ნაცვლიშვილი და ზვიად ბაბიაშვილი.

**- შეკრების შუაში "ატლანტა ჰოქსმა" გამოგიძახა. კლუბში რამე ცვლილება ხომ არ არის?**

- ყველა მოთამაშე პირადულ საკითხზე სასაუბროდ დაგვიბარეს...

**- როგორც ვხედავთ, მთავრობამ დაპირება შეასრულა - ავსტრიასთან მატჩი ევროსტანდარტების იატაკზე მოგიწევთ...**

- ვიდრე საშინაო მატჩი კარს არ მოგვადგა, სპორტის სასახლის შესახებ ლაპარაკი არც გვქონია - სხვა საკალათბურთო საკითხებზე ვიყავით გადართულნი. ახლა ყველა განახლებული არენის შესახებ საუბრობს. მახსოვს, "დინამოს" სტადიონის გარემონტების შემდეგ პირველივე მატჩს კალათბურთელთა ნაკრების წევრები დავესწარით და წაგების მიუხედავად ძალიან ვისიამოვნეთ. მთავრობის მხარდაჭერა და მაღალი დონის არენაზე თამაში დამატებითი სტიმულია კალათბურთელებისა და ქომაგებისთვისაც.

ძალიან მინდა სპორტის სასახლეში მოსულმა გულშემატკივარმა დარბაზის ხილვითაც ისიამოვნოს და ჩვენი თამაშითაც... მათი მხარდაჭერა აუცილებლად დაგვჭირდება.

## ისტორია

**ევრო-1999-ის საკვალიფიკაციო ეტაპი**

25.05.1997 საქართველო-ავსტრია 67:60 დ.დ.

**ევრო-2009-ის საკვალიფიკაციო ეტაპი**

06.09.2006 ავსტრია-საქართველო 63:68

### ავსტრია

| მოთამაშე | სმ | დაბ | გუნდი |
|---|---|---|---|
| 4. კრისტიან კოლიკი | 203 | 1980 | პანტერსი |
| 5. ტომას შრაინერი | 195 | 1987 | პანტერსი |
| 6. დავიდ იადლი | 180 | 1984 | პანტერსი |
| 7. რიჩარდ როიგერი | 206 | 1987 | გიესენი (გერმანია) |
| 8. ბენიამინ ორტნერი | 206 | 1983 | რეჯანა (იტალია) |
| 9. პეტერ ჰუტერი | 196 | 1980 | გმუნდენი |
| 10. არმინ ვოშჩანკი | 184 | 1982 | ველსი |
| 11. მარტინ კოლმაიერი | 218 | 1984 | ტარაგონა (ესპანეთი) |
| 12. ჰაინც კუგერლი | 209 | 1986 | კაპფენბერგი |
| 13. დავორ ლემესიჩი | 205 | 1983 | არკადია |
| 14. ფლორინ შონინგერი | 186 | 1982 | გმუნდენი |
| 15. მატიას მაიერი | 206 | 1981 | გმუნდენი |

### საქართველო

| მოთამაშე | სმ | დაბ | გუნდი |
|---|---|---|---|
| 4. ლაშა გამყრელიძე | 183 | 1986 | აზოტი |
| 5. ტაირონ ელისი | 193 | 1977 | კახა (ესპანეთი) |
| 6. ანატოლი ბოისა | 192 | 1983 | აზოტი |
| 7. ზაზა ფაჩულია | 210 | 1983 | ატლანტა (აშშ) |
| 8. გიორგი ცინცაძე | 192 | 1986 | ტარტუ (ესტონეთი) |
| 9. ვიქტორ სანიკიძე | 203 | 1986 | ესტუდიანტესი (ესპანეთი) |
| 10. კოტე ტუღუში | 193 | 1984 | აზოტი |
| 11. მანუჩარ მარკოიშვილი | 196 | 1986 | კიევი (უკრაინა) |
| 12. დავით უგრეხელიძე | 208 | 1983 | აზოტი |
| 13. ვახტანგ ნაცვლიშვილი | 205 | 1976 | დიჟონი (საფრანგეთი) |
| 14. გიორგი შერმადინი | 213 | 1989 | მაკაბი |
| 15. ზვიად ბაბიაშვილი | 200 | 1978 | ავიამშენი |

# ავსტრიისთვის საქართველო ფაჩულიაა

საქართველოს ნაკრების მეტოქე ავსტრიის ვარჯიში გუშინ, საღამოს 5 საათისთვის იყო დანიშნული. სტუმრებმა ვარჯიშამდე ნახევარი საათით ადრე მიაკითხეს სპორტის სასახლეს, უხმაუროდ, მშვიდად ჩამოილალნენ ავტობუსიდან და გასახდელს მიაშურეს.

ავსტრიის ნაკრების ხელმძღვანელობამ დახურული ვარჯიშის ჩატარება მოითხოვა და მასმედიას მხოლოდ ოცი წუთი გამოუყო.

როგორც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** აგვიხსნა, ფიბა-ს წესდების თანახმად, თუკი ავსტრიელთა მოთხოვნას არ დავემორჩილებოდით, მათ უფლება ჰქონდათ, ეჩივლათ, რისთვისაც ჩვენს ფედერაციას ფინანსური სასჯელი დაეკისრებოდა.

რა თქმა უნდა, მოთხოვნას დავემორჩილეთ და, კაცმა რომ თქვას, ამაზე სულაც არ გვინაღვლია. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო სტუმართა კომენტარები რაზეც უარი არ უთქვამთ. ავსტრიის ნაკრების თავკაცმა **ჰერბერტ შრაინერმა** გუნდი ორად გაყო, ფარებთან გადაანაწილა და დავალებები მისცა. თავად კი ნაკრების კაპიტანსა და გამოკვეთილ ლიდერ **ბენიამინ ორტნერთან** ერთად, დარბაზს გარეთ, რეკლამებით აჭრელებულ ბილბორდთან დადგა და თათარიახნად მინიპრესკონფერენცია ჩაგვიტარა.

ისე ავსტრიის ნაკრების ვარჯიშს, ქართულ მასმედიაში არც ისე დიდი ინტერესი გამოუწვევია. ჩემ გარდა, მხოლოდ ორი ტელეკომპანიის წარმომადგენლები მოვიდნენ. მესამე ტელეკომპანიამ კი ხუთი წუთით დააგვიანა და თავაზიანი უარი მიიღო დარბაზში შეშვებაზე..

ჩვენი მეტოქე რეალურად აფასებს მდგომარეობას და საქართველოს ნაკრებს სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ფავორიტად. თუმცა ავსტრიელები მთლად უიმედოდაც არ არიან და ამბობენ, რომ ამხელა გზაზე ტურისტებად არ ჩამოსულან. შრაინერმა და ორტნერმა ყველაზე დიდი კომპლიმენტები ჩვენი გუნდის ლიდერ ზაზა ფაჩულიას უძღვნეს. მათი აზრი დაახლოებით ასე ჟღერს - თუ ზაზას ვერ გააჩერებ, საქართველოს ნაკრებთან შანსი არ გაქვს...

ბენიამინ ორტნერი: - რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თბილისში თამაში მეტად რთული რამაა. როგორც გავიგეთ, ხვალ ტრიბუნების ბოლომდე შევსებას ელიან. ამხელა პუბლიკის წინაშე თამაში ჩვენთვის დამატებითი მოტივაცია და პასუხისმგებლობაა.

საქართველოს ნაკრების სტრატეგია, ძირითადად, ზაზა ფაჩულიაზეა აგებული. ხვალ ფავორიტები თქვენ ხართ, მაგრამ არც ჩვენ ჩამოვსულვართ ტურისტებად. შევეცდებით, ჩვენი წილი შანსი გამოვიყენოთ.

ჰერბერტ შრაინერი: - ახლახან, ფინეთს ვეთამაშეთ და მართალია, ყველაფერი გავილეთ მოსაგებად, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტოქემ გვაჯობა. ფინეთი და საქართველო ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებიან.

**- რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?**

- ფინელები დაცვაში აგრესიულად თამაშობენ, კონტრშეტევებზეც ელვისებურად გადადიან და ბრწყინვალედ ირჯებიან პერიმეტრიდან.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, თქვენი გუნდი თამაშს აწყობს გამოკვეთილ ლიდერ ზაზა ფაჩულიაზე. მართალია გვყავთ ვლადიმერ ბოისა, ტაირონ ელისი თუ მანუჩარ მარკოიშვილიც, მაგრამ საქართველოს ნაკრების ძირითადი დამრტყმელი ძალა აშკარად ფაჩულიაა. დღეისათვის, ეს ექსტრაკლასის კალათბურთელი ალბათ ევროპის საუკეთესო ცენტრია რომელსაც ნებისმიერი მეტოქისთვის შეუძლია დიდი პრობლემების შექმნა. საქართველოს ნაკრებისა და ფაჩულიას წინააღმდეგ თამაში ჩვენი ახალგაზრდებისთვის საკმაოდ დიდი გამოწვევაა.

**- ხვალინდელ მატჩში შანსებს როგორ შეაფასებდით?**

- ძალიან რთული მატჩი გვექნება. ბოლო წლებში, თბილისიდან ყველა თქვენი მეტოქე წაგებული დაბრუნდა და მათგან ვიცით, თუ რას ნიშნავს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ, მისსავე მოედანზე თამაში.

ისე, აშკარად არ გაგვიმართლა, როდესაც ქვეჯგუფში მოვხვდით B დივიზიონის ორ საუკეთესო გუნდთან. რუმინეთისა და შვეიცარიის ჯგუფში რომ გვეთამაშა, ჯგუფიდამ გასვლის შესანისნავი შანსი გვექნებოდა, მაგრამ საქართველოსა და ფინეთის კომპანიაში წინასწარვე განწირულები აღმოვჩნდით.

როგორც ხედავთ, სტუმრებმა დიპლომატიისა და რეალობის შეზავებით, საქართველოს ნაკრები გამოკვეთილ ფავორიტად შეაფასეს. დანარჩენი კი დღეს, 19 საათზე გამოჩნდება. იმედია, ავსტრიელებს დავუმტკიცებთ, რომ შარშან, ბოლო წუთებზე ხელიდან ძლივს გამოგლეჯილი გამარჯვება მხოლოდ შემთხვევითობა იყო და მათზე გაცილებით კარგი ნაკრები გვყავს.

**კობა ხატისაშვილი**




ბენიამინ ორტნერი და ჰერბერტ შრაინერი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ერთიც და სლემია!



მაკა ჩახნაშვილი

24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** ძალზე ახლოსაა ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადესთან. მსოფლიოს 159-ე ჩოგანმა ქართველმა გუშინ "ფლეშინგ მედოუს" მეხუთე კორტზე მცირე სენსაცია მოახდინა, მან მე-9 ნომრად განთესილი ფრანგი **იულია ფედოსოვა** (109) დაამარცხა, თანაც ძალიან იოლად - 6:2, 6:1. მესამე, ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში მაკა ჩახნაშვილი 19-ე ნომრად განთესილ სლოვენიელ **ანდრეა კლეპაჩს** (124) შეხვდება. კლეპაჩმა ორ სეტში ესპანელი **მარია მარტინეს-სანჩესი** (183) დაამარცხა - 7:6, 6:3. შეგახსენებთ, რომ აქამდე მაკა ჩახნაშვილს არასოდეს უთამაშია "დიდი სლემის" ტურნირის ძირითად ბადეში. საკვალიფიკაციო წრეში კი ზედიზედ მეორე მატჩი პირველად მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

# ორი მოგება, ერთი წაგება



ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში დაიწყო პლაჟბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც, პირველად ისტორიაში, ქართული ვაჟთა დუეტი **გეორ-გია** ასპარეზობს. ჩემპიონატის პირველ დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა სამი შეხვედრა გამართეს, რომელშიც ორში გამარჯვება მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი იმავე ფორმატით მიმდინარეობს, როგორითაც მსოფლიო ტურის ეტაპები. თითოეულ წყვილს მხოლოდ ერთი წაგების უფლება აქვს.

პირველი მატჩი გეორ-გიამ ჩეხი ძმების, ჯო და პეტერ ბენეშების წინააღმდეგ გამართა და იოლად გაიმარჯვა 2:0 (21:14, 21:11). მერე ყოველგვარი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე ავსტრიელებს **ბერგერსა** და **ნოვოტნის** სძლია ასევე ორ სეტში - 21:12, 21:12.

მესამე შეხვედრაში, რომლის მოგების შემთხვევაში გეორ-გია ოთხ საუკეთესო წყვილს შორის გავიდოდა და ერთი ზედმეტი შეხვედრის გამართვის აუცილებლობას აიცილებდა, მათ გერმანელებთან **კლემპერერთან** და **კორენგთან** წააგეს 0:2 (14:21, 15:21).

მომდევნო შეხვედრას გეორ-გია დღეს გამართავს. ჩვენ ფრენბურთელებს წაგების უფლება აღარ აქვთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი

მსოფლიო თასი

# ერთობლივი ვარჯიში ფიჯისთან

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საქართველოს ეროვნული ნაკრები აგრძელებს მსოფლიოს თასისთვის მზადებას. ჩვენი მორაგბეები საფრანგეთის პროვალის პროვინციის დაბა სენტ აფრიკში ვარჯიშობენ. დღეს საქართველოს ნაკრები ბოლო საკონტროლო თამაშს გამართავს ფრანგულ "ოშთან".

სენტ აფრიკში ემზადება ფიჯის ეროვნული გუნდიც. ხუთშაბათს ქართველებსა და ფიჯელებს ერთობლივი ვარჯიში ჰქონდათ. ფიჯის ნაკრები უკვე ეთამაშა "ოშს" და დამარცხდა, ხვალ კი კუნძულელები "ალბის" დაუპირისპირდებიან.

აი, როგორ ახსნა ფიჯელთა მთავარმა მწვრთნელმა **ილივასი ტაბუამ** ქართველებთან ერთობლივი ვარჯიშის ჩატარების მიზეზი: *"ქართველი მორაგბეები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან. მათთან ერთად ვარჯიში ბევრ ასპექტში გამოგვადგება. ისინიც მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან, გამოდის ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ და ვეხმარებით. გუნდმა მთელი დღე საქართველოს ნაკრებთან ერთად ივარჯიშა. შერკინება და დერეფანში ვარჯიში ძალიან კარგი იყო, ბოლოს მეც და ქართველთა მწვრთნელიც ძალზე კმაყოფილი დავრჩით ერთობლივი ვარჯიშით, რომელმაც ორივე გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანა"*. - განაცხადა ფიჯელთა თავკაცმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ისტორია

# შევარდენის მეორედ დაბადება




25 აგვისტო ეროვნული სპორტსაზოგადოება "შევარდენის" დაბადების დღეა. 1918 წლის 25 აგვისტოს "სოკოლის" ყოფილმა ტანმოვარჯიშეებმა გ. ეგნატაშვილმა, დ. ჯავრიშვილმა, გ. ბერელაშვილმა და სხვებმა დააარსეს "შევარდენი". სექციები მოქმედებდნენ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში. მეცადინეობდა 10 ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ორივე სქესის ბავშვი, ჭაბუკი და მოზრდილი. "შევარდენი" აწყობდა საჯარო ვარჯიშებსა და სპორტულ შეხვედრებს ტანვარჯიშში, ქართულ ჭიდაობაში, კრივში, ფეხბურთში... ქუთაისსა და თბილისში გამოვიდა ჟურნალ "შევარდენის" რამდენიმე ნომერი, გამოიცა სპორტულ-ტექნიკური ლიტერატურა და პირველი სპორტული ტერმინოლოგია.

შევარდნელები ერთმანეთს ესალმებოდნენ სიტყვებით: "გუშაგობ ერს!" პასუხი - "მარად!"

"შევარდენი", ნაციონალურ-შოვინისტური იდეების გატარების ბრალდებით, უკვე საბჭოთა საქართველოში, 1923 წელს გაუქმდა. ხელახლა დაფუძნდა 1989 წლის 28 სექტემბერს.

# აროშიძე ყაიმს დასჯერდა

ჭადრაკი. ესპანურ ბანიოლესში საჭადრაკო ფესტივალი ბოლო ტურამდე საინტერესოდ მიმდინარეობს - 6,5-6,5 ქულით ტურნირს სამი მოჭადრაკე ლიდერობს ამერიკელი **რანიერ გონსალესი**, ინდოელი **დიპ სანგუფტა** და მექსიკელი **ხოსე გონსალესი**. მერვე ტურში ქართველი დიდოსტატი **ლევან აროშიძე** (2470) რანიერ გონსალესს დაუზავდა. ლევანს ტურნირზე ჯერ არ წაუგია, მას ექვსი ქულა დაუგროვდა და ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება. აროშიძე ბოლო ტურში თეთრებით ინდოელ **ჯაიარამ აშვინს** (6 ქ.) დაუპირისპირდება. **დავით შენგელიას** და **ანა მათნაძეს** 5,5-5,5 ქულა აქვთ. **სოფიო ნიკოლაძეს, სოფიკო გურამიშვილს** და **მარიამ დანელიას** - 5-5. 130 მოჭადრაკეს შორის ქართველები პირველ 30-ეულში არიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღი

**ელენე გოკიელი.** 25.08.1918, თბილისი - 31.12.1992, იქვე. მძლეოსნობა, თარჯრბენი, სიგრძეზე ხტომა. ევროპის ჩემპიონატის (1946) ორგზის მეორე პრიზიორი 80 მ თარჯრბენსა (ფინალში 0,1 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს, ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ჰოლანდიელ ფანი ბლანკერს-კუნს) და 4X100 მ ესტაფეტაში. სსრკ ჩემპიონი (1944, სიგრძეზე ხტომა), რვაგზის მეორე (1945, 46, 47, 48, 50, 52) და ორგზის მესამე (1944, 49) პრიზიორი. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ფინალში ვერ გავიდა), სსრკ მრავალგზის რეკორდსმენი საუკეთესო პირადი შედეგი: 80 მ თარჯრბენი - 11,1 წმ; სიგრძეზე ხტომა - 5,62 მ. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. 1971-1992 წლებში იყო თსუ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

**ირინა ოვოიანი.** დაიბადა 25.08.1975, თბილისი. აკრობატიკა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი (1990), სსრკ ჩემპიონი (1990) და თასის მფლობელი (1990). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ხელბურთის ასოციაციის რიგგარეშე ყრილობაში (2007 წლის 12 სექტემბერი) მონაწილეობის მიღების კანდიდატებს, გთხოვთ, ა/წლის 5 სექტემბრის 12 საათამდე გაიაროთ რეგისტრაცია წერილობითი სახით (ფაქსი, ელექტრონული ფოსტა) ასოციაციის ოფისში (მისამართი თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა, ტელეფონი/ფაქსი 244876, E-mail: geohf@access.sanet.ge).

შენიშვნა: განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო ტელეფონი, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება განხილული არ იქნება.

"ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის ყოფილ თანამშრომელს, ვეტერან ჟურნალისტს ჯიმშერ ენუქიძეს შვილის

**ირინა ენუქიძის**

გარდაცვალების გამო.



## მძლეოსნობა

# ოსაკაში მძლეოსნებს გააგრილებენ

იაპონიის ქალაქ ოსაკაში დღეს სტარტს აიღებს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტის დედოფლის სპორტსმენებს იაპონია ტრადიციული სტუმართმოყვარეობით კი დახვდა, მაგრამ იგივე არ ითქმის იქაურ ამინდზე - თბილისისა არ იყოს, ოსაკაშიც, თურმე, გაუსაძლისი სიცხეა, რის გამოც, ჩემპიონატის მასპინძლებმა რამდენიმე ხერხს მიმართეს.

ისინი სპორტსმენებს წყლის შხეფების ნისლით გააგრილებენ. ეს გაგრილების საუკეთესო საშუალებაა მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურა 35 გრადუსზე (ცელსიუსით) ქვემოთ არ ჩამოდის. ჩემპიონატის ორგანიზატორები თავიანთ მიგნებას პირველად პირველივე დღეს, მარათონზე მოასპარეზე კაცების გასაგრილებლად გამოიყენებენ. და თუ გაამართლა, მაშინ იქნებ სხვა დისციპლინათა სპორტსმენებსაც ეშველოთ რაიმე.

*"მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, სპორტსმენების გასაგრილებლად ჩვენ წყლის შხეფების ნისლოვანებს გამოვიყენებთ. საჭირო დანადგარები საკმარისი გვაქვს სტადიონზე. მარათონის დროს კი მორბენლებს ხელოვნური წვიმით გავაგრილებთ"*, - ამბობს ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შეფი **იასუჰირო უჩიამა.**

ორგანიზატორები თავიანთ მიგნებას მეტწილად დღის სესიების დროს გამოიყენებენ, საღამოს კი ქალაქში ისედაც შედარებით გრილა, რადგან ოკეანის მხრიდან ბრიზი (ზღვის ნიავი) დაუბერავს და ხელოვნური ნისლი საჭირო აღარ იქნება.

ოსაკაში სპორტსმენებს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა ელით - ჰაერის მაღალი (დაახლოებით 60 პროცენტი) ტენიანობა. ამ პრობლემის გამკლავება კი ტექნიკურადაც შეუძლებელია. ჰოდა, ორგანიზატორებს ისღა დარჩენოდათ, უსაფრთხოების პასიური მეთოდები ინტენსიურად გამოეყენებინათ - ტურნირის დროს, სტადიონის ირგვლივ და შიგნითაც, სასწრაფო დახმარების უამრავი მანქანა განლაგდება, ალაგ-ალაგ კი პირველი სამედიცინო დახმარების პუნქტები იმუშავებს.

რთული მეტეო-პირობების გამო, ორგანიზატორებმა დილის შვიდ საათზე დანიშნეს ვაჟების მარათონის სტარტი. სამწუხაროდ, ტრავმის გამო, ოსაკაში თავისი ტიტულის დაცვას ვერ შეძლებს მაროკოელი **ჟაუად ყარიბი.** სამაგიეროდ, ოქროს მოპოვების შანსი ექნებათ იაპონელებს, რომლებსაც მარათონულ დისტანციაზე კარგი ტრადიციები აქვთ და რამდენიმე ძლიერი მორბენალი ჰყავთ.

ისე კი, ჩემპიონატის პირველ ორ დღეს, მედლების სულ სამი კომპლექტი გათამაშდება. დღეს, მარათონის გარდა, მედლების კომპლექტები ვაჟების ბირთვის კვრასა და 10 000 მეტრზე ქალების სირბილში გათამაშდება. ბირთვის კვრაში ჩემპიონის რანგში იასპარეზებს ამერიკელი **ადამ ნელსონი,** ვინც წინა ორ ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლებს სჯერდებოდა. მისი მთავარი კონკურენტი კი ამ სეზონის საუკეთესო შედეგის მქონე **რიიზი ჰოფა** იქნება. ძნელი წარმოსადგენია, მათ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ჰოლანდიელმა **რუტგერ სმიტმა,** თუმცა არც იმის დავიწყება ღირს, რომ მას ჰელსინკიში ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული.

10 000 მეტრზე რბენაში ტიტულის დაცვას ეცდება ეთიოპიელი **ტირუნეშ დიბაბა,** ვინც ჰელსინკიში 5 და 10 კილომეტრზე მოიპოვა ოქროები. ტირუნეშის ყველაზე სერიოზული კონკურენტია მისივე თანამემამულე **მესტავეტ ტუფა,** ვისაც ამ სეზონში საუკეთესო შედეგი ეკუთვნის.

რამდენიმე დისციპლინაში, მათ შორის, ას მეტრზე სპრინტშიც, ჰიტები ჩატარდება. ას მეტრზე პირველ ჰიტში იასპარეზებს მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგის მქონე ამერიკელი **ტაისონ გეი,** მისი მთავარი კონკურენტი იამაიკიდან **ასაფა პაუელი** კი მეექვსე ჰიტში ირბენს. მათი ფინალი - ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა, მეორე დღეს შედგება.

სხვათა შორის, ოსაკაში სპეციალისტები ბევრ რეკორდს ელიან, მათ შორის, ას მეტრზე სპრინტშიც. ამასთან დაკავშირებით, მკითხველს ახლანდელ რეკორდებსა და მათ ავტორებს გავაცნობთ:

## მსოფლიო რეკორდები

| ვაჟები | |
|---|---|
| 100 მ - **9.77**, ასაფა პაუელი (იამაიკა) | 14/06/2005, ათენი |
| 100 მ - **9.77**, ასაფა პაუელი (იამაიკა) | 11/06/2006, გეიტსჰედი |
| 100 მ - **9.77**, ასაფა პაუელი (იამაიკა) | 18/08/2006, ციურიხი |
| 100 მ - **9.77**, ჯასტინ გეტლინი (აშშ) | 12/05/2006, დოჰა |
| 200 მ - **19.32**, მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 01/08/1996, ატლანტა |
| 400 მ - **43.18**, მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 26/08/1999, სევილია |
| 800 მ - **1:41.11**, უილსონ კიპკეტერი (დანია) | 24/08/1997, კიოლნი |
| 1500 მ - **3:26.00**, ჰიშამ ელ გერუჯი (მაროკო) | 14/07/1998, რომი |
| 3000 მ - **7:20.67**, დანიელ კომენ კიპჩირჩირი (კენია) | 01/09/1996, რიეტი |
| 5000 მ - **12:37.35**, კენენისა ბეკელე (ეთიოპია) | 31/05/2004, ჰენგელო |
| 10000 მ - **26:17.53**, კენენისა ბეკელე (ეთიოპია) | 26/08/2005, ბრიუსელი |
| მარათონი - **2:04:55**, პოლ ტერგატი (კენია) | 28/09/2003, ბერლინი |
| 110 მ თარჯრბენით - **12.88**, ლიუ სიანი (ჩინეთი) | 11/07/2006, ლოზანა |
| 400 მ თარჯრბენით - **46.78**, კევინ იუნგი (აშშ) | 06/08/1992, ბარსელონა |
| 3000 მ სტიპლჩეიზი - **7:53.63**, საიფ საიდ შაჰინი (ყატარი) | 03/09/2004, ბრიუსელი |
| სიმაღლე - **2.45** მ, ხავიერ სოტომაიორი (კუბა) | 27/07/1993, სალამანკა |
| სიგრძე - **8.95** მ, მაიკ პაუელი (აშშ) | 30/08/1991, ტოკიო |
| ჭოკი - **6.14** მ, სერგეი ბუბკა (უკრაინა) | 31/07/1994, სესტრიერე |
| სამხტომი - **18.29** მ, ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 07/08/1995, გეტებორგი |
| ბირთვი - **23.12** მ, რენდი ბარნსი (აშშ) | 20/05/1990, უესტვუდი |
| ბადრო - **74.08** მ, იურგენ შულტი (გერმანია) | 06/06/1986, ნოიბრანდენბურგი |
| ურო - **86.74** მ, იური სედიხი (რუსეთი) | 30/08/1996, შტუტგარტი |
| შუბი - **98.48** მ, იან ჟელეზნი (ჩეხეთი) | 25/05/1996, იენა |
| ათჭიდი — **9026** ქულა, რომან შებრლე (ჩეხეთი) | 27/05/2001, გიოტცისი |
| 4X100 მ ესტაფეტა - **37.40**, აშშ | 08/08/1992, ბარსელონა |
| 4X100 მ ესტაფეტა - **37.40**, აშშ | 21/08/1993, შტუტგარტი |
| 4X400 მ ესტაფეტა - **2:54.20**, აშშ | 22/07/1998, იუნიონდეილი |

| ქალები | |
|---|---|
| 100 მ - **10.49**, ფლორენს გრიფიტ ჯოინერი (აშშ) | 16/07/1988, ინდიანაპოლისი |
| 200 მ - **21.34**, ფლორენს გრიფიტ ჯოინერი (აშშ) | 29/09/1988, სეული |
| 400 მ - **47.60**, მარიტა კოხი (გერმანია) | 06/10/1985, კანბერა |
| 800 მ - **1:53.28**, იარმილა კრატოხვილოვა (ჩეხეთი) | 26/07/1983, მიუნხენი |
| 1500 მ - **3:50.46**, ქუ იუნსია (ჩინეთი) | 11/09/1993, პეკინი |
| 3000 მ - **08:06.11**, ვან ძუნსია (ჩინეთი) | 13/09/1993, პეკინი |
| 5000 მ - **14:24.53**, მესერეტ დეფარი (ეთიოპია) | 03/06/2006, ნიუ იორკი |
| 10000 მ - **29:31.78**, ვან ძუნსია (ჩინეთი) | 08/09/1993, პეკინი |
| მარათონი - **2:15:25**, პოლა რედკლიფი (ბრიტანეთი) | 13/04/2003, ლონდონი |
| 100 მ თარჯრბენით - **12.21**, იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი) | 20/08/1988, სტარა ზაგორა |
| 400 მ თარჯრბენით - **52.34**, იულია პეჩონკინა (რუსეთი) | 08/08/2003, ტულა |
| 3000 მ სტიპლჩეიზი - **9:01.59**, გულნარა სამიტოვა (რუსეთი) | 04/07/2004, ირაკლიო |
| სიმაღლე - **2.09** მ, სტეფკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) | 30/08/1987, რომი |
| სიგრძე - **7.52** მ, გალინა ჩისტიაკოვა (რუსეთი) | 11/06/1988, სტ.პეტერბურგი |
| ჭოკი - **5.01** მ, ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 12/08/2005, ჰელსინკი |
| სამხტომი - **15.50** მ, ინესა კრავეცი (უკრაინა) | 10/08/1995, გეტებორგი |
| ბირთვი - **22.63** მ, ნატალია ლისოვსკაია (რუსეთი) | 07/06/1987, მოსკოვი |
| ბადრო - **76.80** მ, გაბრიელ რაინში (გერმანია) | 09/07/1988, ნოიბრანდენბურგი |
| ურო - **78.67** მ, ტატიანა ლისენკო (რუსეთი) | 26/05/2007, სოჭი |
| შუბი - **71.70** მ, ოსლეიდის მენენდესი (კუბა) | 14/08/2005, ჰელსინკი |
| შვიდჭიდი — **7291** ქულა, ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) | 24/09/1988, სეული |
| ათჭიდი — **8358** ქულა, სკუიტე აუსტრა (ლიტვა) | 15/04/2005, კოლუმბია |
| 4X100 მ ესტაფეტა - **41.37**, გერმანია | 06/10/1985, კანბერა |
| 4X400 მ ესტაფეტა - **3:15.17**, რუსეთი | 01/10/1988, სეული |

## TV სპორტი

### 25 აგვისტო. შაბათი

#### I არხი

**19:00** კალათბურთი. ევრობასკეტი 2007. შესარჩევი მატჩი. საქართველო-ავსტრია (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:35** ფეხბურთი. უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი. დნეპრი-ბელხატოვი.
**09:19** ფეხბურთი. Barca TV.
**09:27** მინი-მოედანი.
**09:51** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**10:13** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ჰამბურგი.
**11:54** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-ლოს ანჯელესი.
**13:40** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**14:13** სპორტის სამყარო.
**14:42** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**15:11** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ლივერპული (LIVE).
**17:42** მინი-მოედანი.
**18:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ტორინო (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**02:30** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**03:00** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩივასი-ლოს ანჯელესი.
**04:44** მინი-მოედანი.
**05:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ჰამბურგი.

#### EUROSPORT

**10:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
**11:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-არგენტინა. ს. კორეა (LIVE).
**12:45** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. ოსაკა. იაპონია.
**14:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბენილუქსის ტური. III ეტაპი (LIVE).
**18:00** ტრამპლინიდან ხტომა. ოთხი ერის გრან-პრი. HS140. პრაგელატო. იტალია.
**18:45** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).
**21:45** რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი (LIVE).
**22:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
**00:00** ცხენოსნობა. მსოფლიო თამაშები. კონკური. ვალკენსვარდი. ჰოლანდია.
**01:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. მანჩესტერი. ინგლისი.
**01:45** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. მანჩესტერი. ინგლისი.
**02:30** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. გერმანია.
**03:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**11:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
**13:30** მულტისპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:15** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. გერმანია (LIVE).
**15:15** ახალი ამბები.
**15:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
**17:30** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
**18:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**21:45** ახალი ამბები.
**22:15** ხელბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალები. ბოსნია (LIVE).
**00:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**00:15** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. IV დღე. ჩინეთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მარსელი. საფრანგეთი.
**02:15** ახალი ამბები.
**02:30** სერფინგი. საფრანგეთი.
**02:45** ახალი ამბები.
**03:00** რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი.

### 26 აგვისტო. კვირა

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**07:38** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ლივერპული.
**09:24** მინი-მოედანი.
**09:49** ფეხბურთი. Barca TV.
**09:58** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ვერდერი.
**11:41** სპორტის სახეები.
**12:09** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბელენენსეში-ბრაგა.
**13:51** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**14:17** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
**16:00** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:29** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**17:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-მილანი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
**19:28** სპორტის ისტორია.
**19:35** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:00** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. დნეპრი-ზაკარპატია (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. დნეპრი-ზაკარპატია. მატჩის შემდეგ.
**22:20** სპორტის ისტორია.
**22:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-რომა (LIVE).
**00:24** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-სპორტინგი.
**02:07** სპორტის სახეები.
**02:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ვერდერი.
**04:19** მინი-მოედანი.
**04:43** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბელენენსეში-ბრაგა.
**06:28** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

#### EUROSPORT

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გერმანია.
**11:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. ოსაკა. იაპონია.
**12:15** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
**17:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. გერმანია.
**18:45** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. მანჩესტერი. ინგლისი.
**20:00** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბენილუქსის ტური. IV ეტაპი.
**20:45** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
**22:45** რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი (LIVE).
**23:00** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**23:30** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ბელგია.
**01:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. V დღე. ჩინეთი.
**02:00** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. ოსაკა. იაპონია.

#### EUROSPORT-2

**08:00** ახალი ამბები.
**08:45** სერფინგი. საფრანგეთი.
**09:00** რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი.
**09:30** ახალი ამბები.
**10:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. გერმანია.
**10:30** ახალი ამბები.
**11:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
**11:45** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. გერმანია.
**12:15** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. გერმანია (LIVE).
**13:00** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. სტამბოლი. თურქეთი.
**13:30** რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი (LIVE).
**13:45** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. გერმანია (LIVE).
**14:45** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ბელგია (LIVE).
**17:00** რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი (LIVE).
**17:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მე-3 ადგილისთვის. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**18:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**21:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**22:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
**22:30** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი.
**23:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. V დღე. ჩინეთი.
**00:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**00:15** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. გერმანია.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გერმანია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:30** სერფინგი. საფრანგეთი.
**02:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ჰისტონი-ალდერშოტი | 1:2 |
| კიდერმინსტერი-სტივენეიჯი | 0:2 |
| იორკი-ფორესტ გრინი | 0:2 |
| **გერმანია** | |
| ბოხუმი-ჰამბურგი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-კარლ ცაისი | 4:3 |
| მაინცი-ბორუსია (მ) | 4:1 |
| ოსნაბრიუკი-პადერბორნი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ერფურტი-ბრაუნშვაიგი | 2:2 |
| ესენი-ემდენი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ზანდჰაუზენი-მიუნხენი II | 1:0 |
| ზიგენი-ელვერსბერგი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-სედანი | 2:1 |
| ბულონი-ანჟერსი | 1:0 |
| დიჟონი-შატორუ | 0:0 |
| გენიონი-რეიმსი | 0:1 |
| გინგამი-ამიენი | 1:0 |
| ლიბურნი-კლერმონი | 1:1 |
| ნიორი-მონპელიე | 1:0 |
| ტრუა-ბასტია | 2:0 |
| გრენობლი-ჰავრი | 0:2 |
| ნანტი-ბრესტი | 3:0 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-ჰერაკლესი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-როსენდალი | 2:1 |
| კამბური-ფორტუნა | 2:2 |
| ემენი-ეინდჰოვენი II | 2:1 |
| დენ ბოში-ჰაარლემი | 3:1 |
| ვოლენდამი-ცვოლე | 2:2 |
| იგლზი-ტელსტარი | 1:2 |
| ჰელმონდი-დორდრეხტი | 2:1 |
| მაასტრიხტი-ომნივორლდი | 0:0 |
| ვაალვიკი-დენ ჰააგი | 2:2 |
| ტოპ ოსი-ვეენდამი | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-კაპფენბერგი | 3:2 |
| გრატკორნი-შვადორფი | 3:1 |
| ლეობენი-პარნდორფი | 0:0 |
| ზალცბურგი II-ლუსტენაუ | 2:2 |
| შვანენშტადტი-ბად ოსი | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კონკორდია-ბელინცონა | 4:2 |
| ფონდსი-ჩამი | 3:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 1:1 |
| დერი-ბრეი | 3:0 |
| გალვეი-სლიგო | 2:0 |
| დუბლინი-შემროკი | 2:4 |
| უოტერფორდი-კორკი | 0:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| შენეცი-ვორავცე | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| ხარკოვი-მეტალურგი (დ) | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| ლეხი-ვიძევი | 1:0 |
| **ხორვატია** | |
| დინამო-მედიმურიე | 3:1 |
| **სლოვენია** | |
| ინტერბლოკი-გორიცა | 5:1 |
| **უნგრეთი** | |
| დიოშდიორი-ჰონვედი | 2:2 |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| ს. კორეა-ტოგო | 2:1 |
| პერუ-კოსტა რიკა | 1:0 |
| ჩ. კორეა-ახ. ზელანდია | 1:0 |
| ინგლისი-ბრაზილია | 2:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ნიუ ჰევენი** | |
| კარლოვიჩი-ფიში | 6:7, 4:6 |
| **WTA. ნიუ ჰევენი** | |
| კუზნეცოვა-დემენტიევა | 4:6, 6:3, 6:0 |

## ჩოგბურთი

### ტურნირები

#### ATP

**Pilot Pen Tennis**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 675 250 დოლარი

**1/8 ფინალი**

ჟილ სიმონი (საფ)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 6:4, 6:4; სტანისლას ვავრინკა (შვეიც)-ტომი რობრედო (ესპ, 2) 6:3, 6:3; ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 3)-აგუსტინ კალერი (არგ, 16) 3:6, 7:6 (2), 6:1; იგორ ანდრეევი (რუს, 14)-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 3:6, 7:6 (3), 6:4; პოლ-ანრი მატიო (საფ, 5)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10) 4:6, 6:3, 6:2; ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 12)-იარკო ნიემინენი (ფინ, 6) 6:3, 2:6, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორ, 11)-ტომას იოჰანსონი (შვედ) 4:6, 6:4, 7:5; მარდი ფიში (აშშ)-ხოსე აკასუსო (არგ) 6:7 (4), 6:3, 6:0.

**1/4 ფინალი**

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 3)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 12) 6:4, 6:2; პოლ-ანრი მატიო (საფ, 5)-ჟილ სიმონი (საფ) 6:4, 6:3; ივო კარლოვიჩი (ხორ, 11)-იგორ ანდრეევი (რუს, 14) 6:7 (8), 6:4, 7:6 (1); მარდი ფიში (აშშ)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:3, 6:3.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

მატიო (5)-ბლეიკი (3); კარლოვიჩი (11)-ფიში.

#### WTA

**Pilot Pen Tennis**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 1)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:2 სკიავონეს უარი; ელენა დემენტიევა (რუს, 6)-მარიონ ბარტოლი (საფ, 3) 6:4, 6:2; ელენი დანიილიდუ (საბ)-დინარა საფინა (რუს, 4) 1:6, 7:6 (8), 6:2; აგნეს შავაი (უნგ)-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 8) 6:1, 6:4.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

კუზნეცოვა (1)-დემენტიევა (6); დანიილიდუ-შავაი.

## ჩოგბურთი

### სპორტი და მოდა

# წითელი ვაშლი



მარიას ახალი კაბა

ამერიკის ღია პირველობის წინ, ჩოგბურთის მოყვარულებს თავიანთი საყვარელი ჩოგბურთელების მომზადების დონის გარდა, ბევრი სხვა ნიუანსი აინტერესებთ. მაგალითად, რა სტილის ტანსაცმლით შეხვდებიან ისინი "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ჩემპიონატს.

გუშინ, ნიუ იორკში ახალი კაბის პრეზენტაცია მოაწყო აშშ-ის ღიას შარშანდელმა ჩემპიონმა **მარია შარაპოვამ**. რუსი ჩოგბურთელი "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე დღისა და საღამოს კაბებით ითამაშებს. ორივე ფორმა წითელი ფერის იქნება და მათ "რედ ეპლი" ("წითელი ვაშლი") ერქმევა. ამით ნიუ იორკის ერთგვარი სიმბოლიზირება ხდება, ვინაიდან ამ ქალაქს ამერიკელები "დიდ ვაშლს" უწოდებენ.

კაბის დიზაინი **კოლინ სანდისონს** ეკუთვნის, ის "ნაიკმა" შეკერა და Swarovski-ის დაახლოებით 600-მდე კრისტალით მორთო.

*"ეს კაბები ესთეტიკურად ძალიან ლამაზი და მოხერხებულია, - განაცხადა შარაპოვამ. - "ნაიკი" ყოველთვის კარგად იგებს ჩემს სურვილებს და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მე მომწონს".*

■ ■ ■

სიახლეა ამერიკელი **ვენუს უილიამსის** ჩაცმულობაშიც. უიმბლდონის ჩემპიონი აშშ-ის ღიაზე საკუთარი დიზაინერული ფირმის, EleVen-ის მიერ შეკერილი კაბითა და სპორტული ფეხსაცმლით ითამაშებს. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, უფროსმა უილიამსმა კონტრაქტი გააფორმა ფირმა Steve & Barry's-თან, რომელიც ჩოგბურთელის დიზაინერულ მოღვაწეობას დააფინანსებს.

*"მოდა ძალიან მაინტერესებს. იმ ფაქტს, რომ თავად შემიძლია შევქმნა ტანსაცმელი, რომლითაც კორტზე გამოვალ, შეიძლება ჩემი ახდენილი ოცნება ეწოდოს"*, - განაცხადა უილიამსმა.

"როიტერი" იმასაც გვამცნობს, რომ წლეულს ვენუსი **ფორტ ლაუდერდეილის** ხელოვნების ინსტიტუტის დიპლომს მიიღებს.

### კალათბურთი

## სპურსში მეორე ფრანგი ჩაირიცხა

**იმე უდოკასთან** კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, NBA-ის ჩემპიონმა "სან ანტონიო სპურსმა" კიდევ ერთი კალათბურთელი დაიმატა. ეს გახლავთ ფრანგი მძიმე ფორვარდი **იან მაინმი**, რომელიც **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმა 2005 წლის დრაფტზე აიყვანა. კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა.

20 წლის მაინმი სამშობლოში "პო-ორტეზის" ღირსებას იცავდა და საფრანგეთის შარშანდელ ჩემპიონატში საშუალოდ 4.3 ქულასა და 3.2 მოხსნას აგროვებდა. ევროლიგაზე მისი ანალოგიური მაჩვენებლები 3.7 ქულასა და 2.8 მოხსნას შეადგენდა.

### ჰოკეი

## ფორსბერგი შესაძლოა, ფლაიერზში დაბრუნდეს

"ფილადელფია ფლაიერზის" გენერალურმა მენეჯერმა **პოლ ჰოლმგრენმა** შვედი ვეტერანის, **პიტერ ფორსბერგის** გუნდში დაბრუნების ალბათობა, ტოტალიზატორის ენით რომ ვთქვათ, ერთი სამთან შეაფასა.

*"ფორსბერგს ივლისის შუაში ვესაუბრე, როცა მან მარჯვენა ფეხზე ოპერაცია გაიკეთა. ცოტა ხნის წინათ, პიტერმა და საიმონ განიემ შვედეთში რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩაატარეს და განიემ მითხრა, რომ ფორსბერგი შეუდარებელი იყო"*, - აცხადებს ჰოლმგრენი.

შვედური გამოცემა Aftonbladet-ის ცნობით, თავად ჰოკეისტმა NHL-ში დაბრუნებამდე, შვედეთის ლიგის კლუბ "მოდოში" თამაში გადაწყვიტა.

### ფორმულა 1

## ალონსო და ჰემილტონი შერიგდნენ

მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი **ლუის ჰემილტონი** და მისი პარტნიორი **ფერნანდო ალონსო** "მაკლარენის" ხელმძღვანელობას შეხვდნენ. ამ აუდიენციის მიზანი, უნგრეთის გრან-პრის შემდეგ შექმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვა იყო. ბუდაპეშტში გამართული რბოლის შემდეგ, პილოტები ორი კვირა არ ხვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა, "მაკლარენის" პრესსამსახურის ცნობით, ისინი ერთმანეთში ტელეფონით საუბრობდნენ.

მიუხედავად ამისა, თურქეთის გრან-პრის წინ, ბრიტანული საჯინიბოს შეფობამ გადაწყვიტა, პილოტები შეეხვედრებინა და შეერიგებინა ისინი.

*"ფერნანდო და მე ტრასაზე 100 პროცენტით ვიხარჯებით, მაგრამ ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. ორივენი ძალიან ამბიციურები ვართ, ძალიან გვინდა მოგება. თუმცა ჩვენს შორის არანაირი ომი არ არსებობს"*, - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ჰემილტონმა.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის ბრიტანელი საერთო ჩათვლაში 7 ქულით უსწრებს ორგზის მსოფლიო ჩემპიონს. ბუდაპეშტში ალონსომ პოული მოიგო, მაგრამ პირველი ადგილი ჩამოართვეს, ვინაიდან ბოქსებში თანაგუნდელი შეაყოვნა. საბოლოოდ, სასტარტო ბილიკზე პირველი ჰემილტონი იდგა, ხოლო თავად "მაკლარენს" კონსტრუქტორთა თასზე ქულები არ მიენიჭა.

### ველოსპორტი

## რასმუსენი ახალ გუნდს ეძებს

სკანდალურად ცნობილი დანიელი ველომრბოლი **მიკაელ რასმუსენი** გუნდ Acqua & Sapone-თან აწარმოებს მოლაპარაკებას. 33 წლის სპორტსმენს იმედი აქვს, რომ 2007 წლის სეზონს სწორედ ამ საჯინიბოს რიგებში დაასრულებს. როგორც ცნობილია, რასმუსენი წლევანდელ "ტურ დე ფრანსზე" "რაბობანკის" რიგებში გამოდიოდა და ცნობილი სკანდალის გამო, ტურიდან ლიდერის რანგში იქნა მოკვეთილი.

გუშინ, მიკაელი იტალიური Acqua & Sapone-ის სპორტულ დირექტორს, **პალმირო მასკიარელის** შეხვდა. მათი საუბარი დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა.

*"დიდი უსამართლობის მსხვერპლი გავხდი და ჩემი ადვოკატები ამ საკითხზე მუშაობენ, მე კი ახალ გუნდს ვეძებ, რათა "ჯირო დი ლომბარდიაზე" გამოსვლა შევძლო"*, - აცხადებს რასმუსენი. წლევანდელი სეზონის ბოლო ერთდღიანი კლასიკური რბოლა 20 ოქტომბერს გაიმართება.

## ავტოსპორტი

### ფორმულა 1. ინტერვიუ ფრენკ უილიამსთან

# მწვერვალზე დაბრუნება შესაძლებელია

**17 წლის განმავლობაში ეს გუნდი ფორმულა 1-ში მოდის კანონმდებელი იყო მაგრამ ამ ბიზნესში წამყვანი ავტოგიგანტების (BMW, "მერსედესი", "რენო") მისვლის შემდეგ, "უილიამსმა" წამყვანი პოზიციები დაკარგა და ერთ-ერთი საშუალო დონის გუნდად ჩამოყალიბდა, რომელიც დამოუკიდებლად ცდილობს თავის გატანას.**

**აი, როგორ აფასებს შექმნილ სიტუაციას ლეგენდარული გუნდის დამაარსებელი და მეპატრონე ფრენკ უილიამსი.**

**- სულ რაღაც ხუთი წლის წინათ, თქვენი საჯინიბოს მოძრავი სახლი ყველაზე ფეშენებელური და ლამაზი იყო. დღეს კი, ის ყველაზე პატარა და შეუმჩნეველია. რატომ შეიცვალა ასე კარდინალურად ყველაფერი?**

- ჩვენი მოტორჰოუმის ზომებსა და ღირებულებას ბოლიდის სისწრაფეზე რომ ჰქონდეს გავლენა, დღესვე ყველაზე ძვირ სახლს შევიძენდი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ "უილიამსს" სულ სხვა რამ სჭირდება. სჯობს, ფული უფრო სასარგებლო საქმეში დავხარჯოთ.

**- თქვენ ერთ-ერთი კერძო საჯინიბოს მეპატრონე ხართ. ქარხნულ გუნდებთან ჭიდილში დონ კიხოტს ხომ არ ჰგავხართ, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის?**

- "უილიამსს" გააჩნია ყველაფერი, რასაც ჩვენი მრისხანე მეტოქეები ფლობენ: შესანიშნავი ინჟინრები, კონსტრუქტორები და აეროდინამიკის სპეციალისტები. იგივე საბურავებით დავდივართ და პრაქტიკულად, იმდენივე რაოდენობის ცხენის ძალები გაგვაჩნია.

**- თქვენი აზრით, ბიუჯეტის ოდენობას ტიტულის მოპოვებასთან პირდაპირი კავშირი აქვს?**

- არა. წარმატება უფრო მეტად იმათ ტვინის ხარისხზეა დამოკიდებული, რომლებიც პროცესის კარგ ორგანიზაციაზე მუშაობენ. და, რა თქმა უნდა, პილოტებზეც. სწორედ ეს მთავარი ფაქტორებია გამარჯვებისთვის აუცილებელი.

**- როგორია "უილიამსისა" და მისი მსგავსი გუნდების ბიუჯეტი?**

- ჩვეულებრივ, ამას ჩვენ მაშინ გავიგებთ, როცა შედეგებს შევაჯამებთ. ეს მომავალი წლის 31 აგვისტოს მოხდება. ასე რომ, მხოლოდ სექტემბერში გვეცოდინება, მოგებაში ვართ თუ წაგებაში. ციფრების დასახელების გარეშე გეტყვით: ძალიან მოკრძალებული ბიუჯეტი გვაქვს, ზედმეტი ფუფუნების უფლება არ გაგვაჩნია და ვცდილობთ, ყველაფერზე ეკონომია გავაკეთოთ. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ფორმულა 1-ში ფულის გაფლანგვა იოლი საქმეა.

**- კმაყოფილი ხართ ამჟამინდელი პილოტებით - ალექსანდრ ვიურცითა და ნიკო როსბერგით?**

- ალექსს წარმატებებიც აქვს და ჩავარდნებიც, მაგრამ ის კოლოსალური გამოცდილების მქონე სტაბილური პილოტია, რომელსაც შესანიშნავად ესმის თავისი მანქანის. რაც შეეხება ნიკოს, ადრე ის ლუის ჰემილტონთან ერთად ერთ გუნდში ასპარეზობდა და ამიტომაც შემიძლია მათი შედარება. როსბერგის ამჟამინდელი წარმატებები ფანტასტიკურია, ამიტომაც მინდა, რომ ჩვენმა გუნდმა, რაც შეიძლება მოკლე ხანებში მისცეს მას სწრაფი მანქანა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ნიკოს სათანადო პირობებს შევუქმნით, მაშინ მასსა და ჰემილტონს შორის წარმტაცი დუელის მოწმენი გავხდებით. ორივე პილოტი, რომ იტყვიან ღმერთისგან ბოძებული ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი. კონკურენტუნარიანი ბოლიდის შემთხვევაში, როსბერგი მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

**- 2008 წელს ორივე პილოტის დატოვებას აპირებთ?**

- ნიკო ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენთან იქნება. ალექსის ბედს კი, ცოტა მოგვიანებით გადავწყვეტთ. ახლა უფრო აქტუალური პრობლემები გვაწუხებს, მაგალითად, როგორ გავხადოთ მანქანა უფრო სწრაფი. ზამთარში შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ და გვეგონა, რომ საშუალო დონის გუნდებში საუკეთესოები ვიქნებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, "ტოიოტა" და "რედ ბული" არაფერში ჩამოგვივარდებიან.

**- ფორმულა 1-ში რაიმეს შეცვლის შესაძლებლობა რომ გქონდეთ, პირველ რიგში, რას გააკეთებდით?**

- ჩემი ძველი ოცნების ასრულებას შევეცდებოდი - გავაკეთებდი ისე, რომ მრბოლელებს გასწრების მეტი საშუალება ჰქონდეთ. სამწუხაროდ, არსებობს ტრასები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამჟამინდელ სტანდარტებს. მაგალითად, მონაკო. არ ვამბობ, რომ ეს ეტაპი კალენდრიდან უნდა ამოვიღოთ, მაგრამ ქალაქის ქუჩების გადასაკეთებლად კარგი იდეები აუცილებელია.

**- წლევანდელ ჩემპიონატს ახალგაზრდა დებიუტანტი ლუის ჰემილტონი ლიდერობს. ძველ დროში, როცა თქვენ სპორტში მოხვედით, შეიძლებოდა მსგავსი რამ მომხდარიყო?**

- აღნიშნული მაგალითიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა ყველაფერი. ავიღოთ, მაგალითად, პირს კარიჯი - 19 წლამდე მას საერთოდ არ ჰქონდა რბოლებში მონაწილეობის გამოცდილება. დღეს პილოტების ახალი თაობა მოვიდა - ეს ბიჭები 7 წლის ასაკიდან საჭესთან სხედან. როცა ისინი ფორმულა 1-ში მოდიან, მაგალითად ჰემილტონს ან როსბერგს უკვე 300-ზე მეტ სხვადასხვა რბოლაში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

**- კიდევ რამდენი ხანი აპირებთ საჯინიბოს ხელმძღვანელობას?**

- მინდა დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ, გუნდი ჩემს გარეშეც შეძლებს არსებობას. საერთო ჯამში, მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ. ძალიან ბევრი პერსპექტიული ხელმძღვანელი გამოგვიჩნდა, წარმატებით მიმდინარეობს კადრების გაახალგაზრდავება. პროცესს ხელმძღვანელობენ სპეციალისტები, რომლებიც ჩემზე 20-25 წლით უმცროსები არიან.

**- 20 წლის შემდეგ გუნდს კვლავ თქვენი სახელი ერქმევა?**

- "უილიამსი" - ცნობილი მარკაა. მეორეს მხრივ, თუ ცოცხალი არ ვიქნები, რა მნიშვნელობა აქვს, შენარჩუნდება თუ არა ეს სახელი?

**- რა პერსპექტივები აქვს თქვენს გუნდს?**

- ჩვენ შეგვიძლია მწვერვალზე დაბრუნება. "ფერარიმ" ხომ შეძლო ამის გაკეთება. ვფიქრობ, ჩვენც მოვახერხებთ იგივე გზის გავლას.



ნიკო როსბერგი, ფრენკ უილიამსი და მარკ უებერი


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოკა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა